

თბილისის

ვანო

სარაჯიშვილის

სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორიის

ტრადიციული

მრავალხმიანობის

კვლევის

საერთაშორისო

ცენტრის

ბიულეტენი

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური  
ცხოვრება

ტრადიციული მრავალხმიანობის VII  
საერთაშორისო სიმპოზიუმი

უცხოელი ეთნომუსიკოლოგები  
ფრანც ფოედერმაირი

გიორგი გარაფანიძის სახელობის  
ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის  
ბათუმის IX საერთაშორისო ფესტივალი  
და კონფერენცია

ქართული ფოლკლორისტიების  
სათავეებთან  
ზაქარია ფალიაშვილი

ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი  
„ძირიანი“

უცხოური ფოლკლორული ანსამბლი  
ბულგარეთის ეროვნული ფოლკლორული  
ანსამბლი

ქართული სიმღერის მოამაგეები  
ისლამ ფილფანი

ექსპედიციის დღიური  
ექსპედიცია ბორჯომის ხეობაში

უცხოური მრავალხმიანობა  
მონღოლური მრავალხმიანობა

ქართული კულტურისა და მუსიკურების  
ძერები  
საქართველოს ხალხური და გამოყენებითი  
ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

ქართული ხალხური საერთაშორისო  
ბუკი

ძველი პრესის ფურცლებზე  
მელიტონ ბალანჩივაძე  
„ქართული სიმღერა“

ერთი უანრის შესახებ  
ქართული სამგლოვიარო უანრის მუსიკა  
გურული „ზარი“

**ახალი ამბები**

**საქართველოს  
ეთნომუსიკალური  
ცხოვრება**

(ივნისი-დეკემბერი, 2014)

**ფესტივალები და კონფერენციები**

**3-7.07.2014** – ქალაქ პრაღაში გაიმართა ეთნომუსიკოლოგიის XXX ევროპული სემინარი „გადამკვეთი ხიდები“ (Crossing Bridges), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა ეთნომუსიკოლოგებმა ნინო რაზმაძემ და სოფიკო კოტრიკაძემ.

**20-27.07.2014** – თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დია ცის ქვეშ გაიმართა ტრადიციული ფოლკლორული ფესტივალი არტ-გენი.

**18.10.2014** – პოლონეთის ქალაქ სუპრაშლში გაიმართა საერთაშორისო მართლმადიდებლური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართველმა ეთნომუსიკოლოგმა მალხაზ ერქვანიძემ.

**22-26.10.2014** – თბილისში ჩატარდა ტრადიციული მრავალხმიანობის VII საერთაშორისო სიმპოზიუმი.

**4-7.11.2014** – ბათუმში ჩატარდა გიორგი გარაჯანიძის სახელობის ბათუმის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის IX საერთაშორისო ფესტივალი.

**26-28.11.2014** – ნორვეგიის მუსიკის აკადემიის მიერ ჩატარებულ „მუსიკის საგანმანათლებლო კვლევის ცენტრის კონფერენციაში“ (Conference of Centre for Educational Research in Music) მონაწილეობა მიიღო ქართველმა ეთნომუსიკოლოგმა თეონა ლომსაძემ.

**19.12.2014** – XVII საერთაშორისო ფესტივალის „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ ფარგლებში კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ფოლკლორული კონცერტი ანსამბლ „იმერის“ მონაწილეობით.

**კომპაქტ-დისკები, მასტერ-კლასები, ლუქსები, პუბლიკაციები და სხვ.**

**28-30.05.2014** – ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნანინაშ“ განახორციელა პროექტი „შემოქმედებითი დღეები აჭარაში“, რომლის ფარგლებში მოაწყო სოლო კონცერტი, ჩატარა მასტერ-კლასი ბათუმის საჯარო და მუსიკალური სკოლების პედაგოგებისათვის

და გამართა ერთობლივი კონცერტი ქედის ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „იაგუნდოან“ ერთად.

**28.05.2014** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ეთნომუსიკოლოგ თამაზ გაბისინიას საჯარო ლექცია თემაზე „ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობა – თანამედროვე რაკურსი“.

**6-19.07.2014** – ანსამბლმა „სახიობამ“ უმასპინძლა ამერიკული ასოციაცია Village Harmony-ს მიერ საქართველოში მოწვეულ მუსიკოსებს და ჩატარა მათ მასტერლეკასები გურიაში, რაჭასა და კახეთში.

**16.07.2014** – საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ტრადიციული საუბრები ლურჯ სუფრასთან – ხალხური სიმღერა და თანამედროვე გამოწვევები. სტუმრად მუზეუმში იმყოფებოდა მგალობელ-მომღერალთა გუნდი „დიდგორი“.

**29.09-3.10.2014** – ტბესც-მა მოაწყო ცნობილი ეთნომუსიკოლოგების ლექციების კვირეული, რომლის ფარგლებში გაიმართა იზალი ზემოვნების ორი ლექცია: 1. „რატომ დავდივართ კონცერტებზე და მივდივართ ფოლკლორულ ექსპედიციაში, ანუ რა არის ჟარი“; 2. „მუსიკალური არსებობის უხილავი ნივთიერება“; ალმა კუნანბაევას ლექცია: „მუსიკალური ნარატივი: სწავლებიდან ეპოსამდე“ (ყაზახური ტრადიციული მუსიკის უახლესი ამერიკული ჩანაწერებიდან); იოსებ ქორდანიას ლექცია: „ტრადიციული მრავალხმიანობის წარმოშობა, ორმაგი იდენტობა და საბრძოლო ტრანსი“.

**1.10.2014** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკალურმა ცენტრმა გამართა ავსტრალიაში მოღვაწე ქართველი ეთნომუსიკოლოგის, პროფესორის, იოსებ ქორდანიას ლექცია თემაზე: „მუსიკა და მეტაველება აღამიანის ევოლუციის ჭრილში“.

**12.10.2014** – გამოვიდა ანსამბლ „იალონის“ მეორე, სასწავლო კომპაქტ-დისკის ახალი ტირაჟი.

**22-23.10.2014** – ბათუმში ჩატარდა „ახალგაზრდული ფოლკლორული დღეები“.

**25.10.2014** – გამოვიდა ანსამბლ „ნანინაშ“ კომპაქტ-დისკის ახალი ტირაჟი.

**24.11.2014** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო პროექტის „ახალი განმანათლებლობა“ ფარგლებში ეთნომუსიკოლოგმა ნინო მასარაძემ ჩატარა საჯარო ლექცია თემაზე „ბაგშვის დასაძინებელი ნანა საქართველოში“.

**25.11.2014** – გიორგი მოაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში მოეწყო შეხვედრა ქართლ-კახური

სიმღერების საუკეთესო მცოდნესა და შემსრულებელთან, ლოტბარ ანდრო სიმაშვილთან.

**27.11.2014** – საქართველოს ს. ჯანაშიას სახელმისამართის ეროვნულ მუზეუმში შედგა პრეზენტაცია კომპაქტ-დისკისა „აფხაზური ხალხური მუსიკა“ (გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტი ევროკავშირის დაფინანსებით. პროექტის ხელმძღვანელი – გ. უშიკიშვილი, ავტორი – ო. კაპანაძე). დისკში შესულია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული აუდიომასალა.

**2.12.2014** – გიორგი მთაწმინდელის სახელმისამართის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში ჩატარდა ანზორ ერქომაშვილის საჯარო ლექცია თემაზე „ქართული სიმღერების უნიკალური აუდიოჩანაწერები“.

**12.12.2014** – TBC Art გალერეაში გაიმართა ანსამბლ „შავნაბადას“ მიერ გამოცემული „ნათლობის, ქორწინებისა და მდგლად ქურთხევის საგალობლების“ სასწავლო დანიშნულების აუდიო კომპაქტ-დისკის პრეზენტაცია თანდართული სანოტო კრებულით.

**16.12.2014** – კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებაზე გაიმართა დოქტორანტ გიორგი კრავეიშვილის მიერ ლაზეთში, ტაოსა და შავშეთში მოწყობილი ფოლკლორისტული ექსპედიციების შედეგების პრეზენტაცია.

**23.12.2014** – კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის მიმართულების ლაბორატორიამ ჩატარა „ანჩისხატის გუნდის“ წევრის, ეთნომუსიკოლოგის, დავით შედლიაშვილის სემინარი თემაზე: „საგალობლების შესახებ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“.

## ექსპედიციები

**ივლისი. 2014** – იდიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ეთნომუსიკოლოგიურმა მიმართულებამ მოაწყო ფოლკლორული ექსპედიცია დედოფლისწყაროს რაიონში (ექსპედიციის ხელმძღვანელი – ეთნომუსიკოლოგი ნინო მახარაძე); წევრები: ქეთევან ბაიაძეშვილი, ნინო დამბაშიძე, ნინო ნანეიშვილი).

**5-20.07.2014** – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მოეწყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურის II კურსის სტუდენტის, გიორგი კრავეიშვილის ფოლკლორული ექსპლიცია ლაზეთში: არპაგის (არქაბე), ფინდიკლის (ვიწე), არდაშენისა და ფაზარის (ათონა) რაიონებში (ექსპედიციის წევრები: თამაზ კრავეიშვილი, ნაზი მემიშიში).

**22-26.07.2014** – გიორგი კრავეიშვილმა მოაწყო ფოლკლორული ექსპედიცია ხელვაჩაურის რაიონის სოფლებში, კვარიათსა და სარფში მცხოვრებ ლაზებთან.

**2-27.08.2014** – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მოეწყო გიორგი კრავეიშვილის ფოლკლორული ექსპედიცია იუსუფელისა (ისტორიული ტაო, ამჟამინდელი თურქეთის ტერიტორია) და შავშეთის რაიონებში.

**აგვისტო 2014** – იდიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ეთნომუსიკოლოგიურმა მიმართულებამ მოაწყო ფოლკლორული ექსპედიცია ბორჯომის ხეობაში (ექსპედიციის ხელმძღვანელი – ეთნომუსიკოლოგი თამაზ გაბისონია; წევრები: სოფიკო კოტრიკაძე, ლევან ბითაროვი).

**27.09-1.10.2014** – ანსამბლი „ბასიანი“ თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის VII საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილე უცხოელ ეთნომუსიკოლოგებთან – დრ. სიმპა არომთან (საფრანგეთი) და დრ. პოლო ვალევოსთან (ესპანეთი) ერთად იყოფებოდა ექსპედიციაში გურიაში და აჭარაში.

საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის პროექტის „ქართული გალობის პოპულარიზაციისათვის“ ფარგლებში თბილისის სხვადასხვა ტაძრის (ანჩისხატის, მამა დავითის, ქაშუეთის, ჯვარის მამის, ყოველთა წმიდათა, წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის და სხვა) მგალობელთა გუნდებმა იმოგზაურეს საქართველოს სხვადასხვა ეპარქიებში, მონაწილეობა მიიღეს საეკლესიო დათვისმსახურებაში, ჩატარებს კონცერტები და მასტერკლასები.

## გასტროლები

ანსამბლმა „რუსთავმა“ გასტროლებით იმოგზაურა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში:

**30.05.2014** – ირლანდია, ქალაქი დუბლინი – „გემების საერთაშორისო ფესტივალი“.

**2-11.07.2014** – სამხრეთ კორეა, ქალაქი სეული – „კავკასიის კულტურის ფესტივალი კორეაში 2014“.

**20-27.07.2014** – ედიშერ და გიორგი გარაფანიძეების სახელმისამართის ბავშვთა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული სტუდია „ამერ-იმერი“ საგასტროლოდ იყოფებოდა პოლონეთში, ქალაქ ნოვი-სონჩში, სადაც მონაწილეობა მიიღო ბავშვთა 22-ე საერთაშორისო ფესტივალში „მთის ბავშვთა ზეიმი“. წევრები: არქაბე, ფინდიკლის (ვიწე), არდაშენისა და ფაზარის (ათონა) რაიონებში (ექსპედიციის წევრები: თამაზ კრავეიშვილი, ნაზი მემიშიში).

**7-9.08.2014** – ანსამბლი „ბასიანი“ მიწვეული იყო ირლანდიაში კილკენის ხელოვნების ფესტივალზე, რომლის ფარგლებში გამართა

სოლო კონცერტი ქალაქის უძველეს გოთურ ტაბარში.

**15-22.10.2014** – პოლონეთში (ქალაქები – სუპრაშლი, ბიალისტიკი, გდინია) გაიმართა ანსამბლ „სახიობას“ კონცერტები. ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ვარშავის ქართული სათვისტომოსა და საკონცელოს ერთობლივ დონისძიებაში „ქართული შემოდგომა ვარშავაში“.

**30.10.2014** – ქალაქ პრაღის მუსიკის მუზეუმში გაიმართა ფესტივალი „შემოდგომის სიმბიოზი“ (Strings of Autumn), რომლის ფარგლებში სოლო კონცერტი ჩაატარა მგალობელ-მომღერალთა გუნდმა „დიდგორი“.

**17-18.11.2014** – ანსამბლმა „ბასიანმა“ იმოგზაურა ლიტვაში, სადაც გამართა კონცერტები ანსამბლ „რუსთავის“ მოცეკვავეთან ერთად: 17.11 – ქალაქ კლაიპედას მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში, 18.11 – ვილნიუსის საკონცერტო კონგრეს ჰოლში.

**5.12.2014** – ბულგარეთში, ქალაქ სოფიაში ანსამბლმა „ქართულმა ხმებმა“ გამართა ფოლკლორული კონცერტი ბულგარეთის ქალთა ფოლკლორულ ანსამბლთან – „ბულგარული ხმების მისტერია“ (Mistery of Bulgarian voices) ერთად.

**7.12.2014** – ფონდმა „ქართული გალობა“ ქ. რომში, Seraphicum-ის დარბაზში გამართა საზეიმო კონცერტი ციკლიდან „ქართული პოლიფონია – კაცობრიობის საგანძურო“. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საპატრიარქოს ევროპის ეკლესიების სამრევლოებთან არსებულმა ქართულმა გუნდებმა ბრიუსელიდან, ფლორენციიდან, ბარსელონადან, დიუსელდორფიდან, მიუნჰენიდან, პარიზიდან და რომიდან.

## კონცერტები და საღამოები

**8.07.2014** – ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აქადემიურმა ანსამბლმა „რუსთავმა“ ქართულ ეროვნულ ბალეტ „სუხიშვილებთან“ ერთად თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართა საქველმოქმედო კონცერტი სიმსივნით დააგვადგენდელ ბავშვთა დასახმარებლად.

**22.07.2014** – თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დია ცის ქვეშ გაიმართა რაჭველების ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი „ძირიანის“ სოლო კონცერტი.

**25.07.2014** – ანსამბლმა „ფერიცვალებამ“ ფილიმონობის დღესასწაულთან დაბაგმირებით მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის რაიონში ჩატარებულ საზეიმო წირვაში და გამართა სოლო კონცერტი.

**20.09.21.11.2014** – ანსამბლმა „იალონმა“ გამართა სოლო კონცერტი ბარში „ზოესთან“.

**20-21.09.2014** – თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში ანსამბლმა „რუსთავმა“ ტაივანის საბალეტო დასთან – „ქლაუდ გეიოთოან“ ერთად გამართა სპექტაკლი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დიდ სცენაზე.

**25.09.2014** – ტრადიციული მრავალხმიანობის მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში გაიმართა კონცერტი „ქართული მოტივები“ ლატვიის სახელმწიფო გუნდისა და მგალობელ-მომღერალთა გუნდი „დიდგორის“ მონაწილეობით.

**25-26.09.2014** – ანსამბლმა „რუსთავმა“ გამართა სოლო კონცერტები ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრსა და ფოთის დრამატულ თეატრში.

**4.10.2014** – თბილისა და თელავში ჩატარდა „ქართული ღვინის დღე“, სადაც ღვინის ღვინებაციის პარალელურად ქართულმა ფოლკლორულმა ჯგუფებმა კონცერტები გამართეს ორივე ქალაქში.

**5.10.2014** – ქ. რუსთავში გაიმართა ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „თუთარჩელასა“ და შვეიცარიელ მომღერალთა გუნდის „Singfrauen Winterthur“ („მომღერალი ქალები ვინტერტუნიდან“) შეხვედრა-კონცერტი სახელწოდებით „რა ლამაზად შემოსულა გიორგობის თვევ“.

**12.10.2014** – ჯანსუდ კახიძის სახელობის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის „შემოდგომის თბილისის“ ფარგლებში ჩატარდა ფოლკლორული კონცერტი ანსამბლი „რუსთავის“ მონაწილეობით.

**24.10.2014** – ქ. რუსთავში გაიმართა ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „თუთარჩელასა“ და გერმანელ მომღერალთა გუნდის „Die Fixen-Nixen“ (ბერლინი) შეხვედრა-კონცერტი.

**26.10.2014** – დედაქალაქის ტრადიციულ საშემოდგომო დღესასწაულზე „თბილისობა“ გაიმართა თბილისში მოღვაწე და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, ხალხური რეწვის ნიმუშებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.

**31.10.2014** – თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ანსამბლ „რუსთავის“ სოლო კონცერტი.

**8.11.2014** – ძველი ქალაქური დღესასწაულის „ალეგრობა-ოზურგეთის“ „აღდგენა-დაწევებასთან დაკავშირებით ანსამბლმა „ბასიანმა“ ოზურგეთში სოლო კონცერტი გამართა.

**9.11.2014** – ედიშერ და გიორგი გარაყანიძეების სახელობის ეთნომუსიკის თეატრმა „მთი-

ები“ და მასთან არსებულმა ბავშვთა ფოლკლორულმა სტუდიამ „ამერ-იმერი“ წნორის რაიონის სოფელ მაჩხაანში გამართა ერთობლივი კონცერტი წნორის „ამერ-იმერის“ (ხელმძღვანელი თ. შერვაშიძე) ორ თაობასთან ერთად.

**15.11.2014** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა სასწავლებლის სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ასამბლის 30 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ძველი და ახალი თაობის მომდერლებმა და მოცეკვავებმა.

**5.12.2014** – ქალაქ ზუგდიდში ცნობილი ლოტბარის, პოლიკარპე ხუბულავას 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიხსნა მისი ვარსკვლავი და ჩატარდა ფოლკლორული კონცერტი.

**14.12.2014** – კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა გურჯაანის რაიონის ლევან მუღალაშვილის სახელობის ქართული გალობა-სიმღერის გუნდისა და ანსამბლ „გურჯაანის“ კონცერტი.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ იხ. [www.folk.ge](http://www.folk.ge).

მოამზადა მაკა ხარძიანმა

## ტრადიციული მრავალხმიანობის VII საერთაშორისო სიმპოზიუმი

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ცხოვრებაში სიმპოზიუმები ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. საბედნიეროდ, ამ ფორუმების ჩატარება უკვე ტრადიციად დამკვიდრდა და მას ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ელოდებიან როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრები და ხალხური მუსიკით დაინტერესებული ადამიანები. თავისი არსებობის მანძილზე სიმპოზიუმმა მსოფლიოს არაერთი ქვექნის მეცნიერსა თუ ფოლკლორულ ანსამბლს უმასპინძლა, ქართული მრავალხმიანობის პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და იგი მსოფლიო მრავალხმიანობის კონტექსტში წარმოაჩინა.



სიმპოზიუმის გახსნის ცერემონიალი

სხვადასხვა წლებში სიმპოზიუმებზე წარმოდგენილი იყო მსოფლიო მრავალხმიანობის უნიკალური კულტურები, როგორებიცაა აინების (იაპონია), ამერიკელი ინდიელების, ლიტვური, აფრიკული, ტიბეტური, კორსიკული, ავსტრიული და სხვ., რამაც მნიშვნელოვან გააფართოვა ქართველი ეთნომუსიკოლოგების თვალსაწიერი და ცოდნა მსოფლიო მრავალხმიანობის კერძის შესახებ. ამ სამეცნიერო ფორუმს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა ქართველი მკვლევრებისთვისაც, რომელთაც საშუალება ეძლევათ პირადად გაეცნონ უცხოური ეთნომუსიკოლოგიური სკოლების წარმომადგენლებს, კვლევის თანამედროვე მიდგომებსა თუ მეთოდებს, რაც მათთვის მომავალი სამეცნიერო საქმიანობის გარკვეული იმპულსიც ხდება. რაც მთავარია, სიმპოზიუმი შანსს აძლევს დამწყებ მკვლევრებს, თავადაც მიიღონ მასში მონაწილეობა და საკუთარი მოხსენებები სიმპოზიუმის სქელტანიან კრუ-

ბულში უკვე ტიტულოვანი მეცნიერების ნაშრომების გვერდით იხილონ.

წლევანდელი სიმპოზიუმი, ამავდროულად, საიუბილეოც იყო: 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბორჯომში ტრადიციული მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.



სამეცნიერო სესია

წინა წლების მსგავსად, წლევანდელი სიმპოზიუმიც თემატური მრავალფეროვნებით გამოიჩინეოდა. ოთხი დღის მანძილზე მასში 25 უცხოელმა და 18 ქართველმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა.

სიმპოზიუმის სპეციალური თემა იყო „ეროვნული უმცირესობების მრავალხმიანობა“, წარმოდგენილი მოხსენებებით ავღანეთის ნურისაგანის, ტაიგანელი ამისების, პანკისელი ქისტებისა და სხვ. მუსიკის შესახებ. სესიები მიეძღვნა მრავალხმიანობის ზოგად თეორიასა და მუსიკალურ-ესთეტიკურ ასპექტებს, ტრადიციული მრავალხმიანობის რეგიონულ სტილებსა და მუსიკალურ ენას, მრავალხმიანობას საკრავიერ, სასულიერო მუსიკაში, შემსრულებლობას და ა.შ. ორი საპანელო მოხსენება შეეხებოდა ბერლინის ფონოგრამარქივისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ახლახან განხორციელებულ ერთობლივ პროექტს „ქართული ჩანაწერები გერმანიის ტყვეთა ბანაკებიდან (1916-1918)“. ტრადიციულად, კონფერენციის ვალკე ბლოკი დაეთმო სასტენდო მოხსენებებს, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდა ქართველმა და უცხოელმა მკვლევრებმა საკუთარი ნაშრომების მოკლე პრეზენტაციები გააკეთეს.

წლევანდელი სიმპოზიუმის განსაბუთებული მოვლენა იყო ცნობილი ამერიკელი ეთნომუსიკოლოგის, რამდენიმე საბაზისო ეთნომუსიკოლოგიური წიგნის ავტორის, ბრუნო ნეტლის სკაიპ-ჩართვა ილინოისიდან, რომელმაც თავისი მოსაზრებები გაგვაცნო

ამერიკელი ინდიულების მრავალხმიანობის შესახებ და საკმაოდ საინტერესო დისკუსიაშიც ჩაება.

ნეტლი უკელაზე პრესტიული ეთნომუსიკოლოგიური ჯილდოს, ფუმიო კიოცუმის პრემიის ლაურეატია. მის გარდა სიმპოზიუმს ამ პრემიის კიდევ სამი მფლობელი სტუმრობდა: ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის უცხოური ბიუროს ხელმძღვანელი იოსებ ჟორდანია (ავსტრალია/საქართველო), გამოჩენილი ეთნომუსიკოლოგები – სიმპა არომი (საფრანგეთი) და იზალი ზემცოვსკი (აშშ/რუსეთი). ეს უკანასკნელი წელს სიმპოზიუმს საპატიო სტუმრის სტატუსით ეწვია და მრგვალ მაგიდას (თემა: მოდი, გიხაუბროთ ბურდონზე) თავმჯდომარეობდა. მან მეუღლესთან, ცნობილ ეთნომუსიკოლოგ ალმა კუნანბაევასა(აშშ/ყაზახეთი) და იოსებ ჟორდანიასთან ერთად სიმპოზიუმის დასრულების შემდეგ კონსერვატორიაში რამდენიმე ლექციაც ჩაატარა.



იზალი ზემცოვსკი და რუსულან წურწუმია

ასეთი ტიტულოვანი და საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული მეცნიერები თბილისის სიმპოზიუმის ხშირი სტუმრები არიან, რაც, ბუნებრივია, განაპირობებს მის პრესტიუს და კიდევ უფრო ზრდის სამეცნიერო დონეს. ამ უკელაფრის გათვალისწინებით, თბილისის კონსერვატორიის საპატიო პროფესორის წოდება, იზალი ზემცოვსკის შემდეგ, წელს უკვე იოსებ ჟორდანიას, სიმპა არომს, პოლო ვალეპოსა და დიტერ ქრისტენსენს მიენიჭათ. ეს უკანასკნელი უკელაფანდებული სიმპოზიუმის მონაწილე იყო და განსაკუთრებული წლილი შეიტანა 2001 წელს იუნესკოს მიერ ქართული მრავალხმიანი სიმდერის აღიარებაში.

როგორც ყოველთვის, სიმპოზიუმის გამორჩეული მოვლენა იყო ტრადიციული მრავალხმიანობის შესახებ გადაღებული ფოლმების ჩვენება. წარმოდგენილი იყო სამი დოკუმენტური ფილმი: რენატო მორელის

(იტალია) ფილმი „სუ კონკორდუ“ ერთ-ერთ სარდინიულ სოფელში გამართულ ვწების კვირის რიტუალებს ასახავდა; პუგო ზემპის (საფრანგეთი) ფილმი „შევიცარიული იოდლი – 30 წლის შემდეგ“ ამ უნიკალური ტრადიციის დღევანდელ გამგრძელებლებსა და მათ შემოქმედებაზე მოგვითხოვდა; ეპჭარდ პისტიკისა და ბიორნ რაინჰარდტის (გერმანია) ერთობლივი ფილმი „პოლიფონია – ალბანეთის მივიწყებული სტები“ საოცრად რეალისტურად გვიხატავდა ალბანური სოფლის ცხოვრების სურათებს და მასში მრავალხმიანობის მქრქალ ანარეკლს. ეს სამი, თითქოს ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული ფილმი ერთ მთლიანობას ქმნიდა, რომლის ცენტრშიც მრავალხმიანობის და მისი თანამედროვე სამყაროში არსებობის საკითხი მკაფიოდ იყო გამოკვეთილი.

როგორც ყოველთვის, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია წლევანდელი სიმპოზიუმის საკონცერტო ნაწილმა, რომელსაც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გაუწია ორგანიზება. ტრადიციისამებრ, კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში გამართულ ფოლკლორულ კონცერტებზე წარმოდგენილი იყო ქართული და მსოფლიოს მრავალხმიანობა. ტრადიციული ტაიგანური მრავალხმიანობის შემსრულებელი ჩუ-ინის კულტურისა და ხელოვნების ჯგუფმა თავისი პირველქმნილი, არქაული ქადაგობებით, აუთენტური, ხალხის ყოფასთან შეიძლოდ დაკავშირებული საშემსრულებლო მანერითა და ეგზოტიკური სამოსით განსაკუთრებული ფერადოვნება შემატა წლევანდელი სიმპოზიუმის საკონცერტო პალიტრას.



ტაიგანური ჯგუფის გამოსვლა

შთამბეჭდავი იყო უპრაინული თუთურქული მუსიკის ტრადიციული ნიმუშები, ქართული მრავალხმიანობა ავსტრალიელი მოდერლების ხალასი და ემოციური შესრულებით. იოსებ უორდანიასა და ნინო ცი-

ციშვილის ავსტრალიელი მეგობრები, არა მარტო სიმპოზიუმს, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხესაც სტუმრობენ ერთგულად და მათ ყოფასა და კულტურას ეცნობიან.

უცხოელი სტუმრებისთვის განსაკუთრებულად საინტერესო იყო ქართული რეგიონული ანსამბლების კონცერტი, რომლის მონაწილეებმაც სცენაზე გააცოცხლეს სოფლის ტრადიციული ატმოსფერო და ქართული ფოლკლორის დიალექტური მრავალფეროვნება უცხოელებისთვის კიდევ უფრო ცხადად აღსაქმები გახდა.



ეთნოგრაფიული ანსამბლების კონცერტი

განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია სიმპოზიუმის ფარგლებში ჩატარებული ლატვიის სახელმწიფო გუნდისა და ანსამბლ „დიდგორის“ ერთობლივი პროექტის, „ქართული მოტივები“ – თბილისური პრემიერა, რომელიც ლატვიის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა. სადამო, რომელსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი დარიბაშვილი ესტრებოდნენ, საქართველოსა და ლატვიის კულტურის მინისტრებმა საგანგებო სიტყვით გახსნეს.

თავისთავად, განსხვავებული მუსიკალური ტრადიციების მქონე მუსიკოსების ურთიერთანაბმურმლობა მეტად პოზიტური მოვლენაა, მით უფრო რომ ამ შემთხვევაში, ის უცხოელი კომპოზიტორების მიერ ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ახლებურად გააზრების ცდას წარმოადგენდა. ისტორიულად, ქართულ ფოლკლორს არაერთი უცხოელი კომპოზიტორი მიმართავდა და მას უშუალოდ თუ გაშუალებულად იყენებდა საკუთარ შემოქმედებაში. თუმცა ლატვიურ-ქართული პროექტის შემთხვევაში ქართული მრავალხმიანი სიმღერა ის მყარი ელემენტი იყო, რომლის გარშემოცობობას ქსელივით იქსოვებოდა მთლიანი კომპოზიცია და იქმნებოდა არა რაღაც

პიბრიდული წარმონაქმნი, არამედ თვისობრივად ახალი მუსიკალური ქმნილება, რომელშიც ქართული და ევროპული მუსიკა საკუთარ ინდივიდუალობას ინარჩუნებდა.



ანსამბლ „დიდგორისა“ და ლატვიის სახელმწიფო გუნდის ერთობლივი კონცერტი

ცალკე აღნიშვნის ღირსია ლატვიის სახელმწიფო გუნდის მაღალი პროფესიონალიზმი და ბგერის ფლობის საოცარი ოსტატობა. ვფიქრობ, ასეთი კოლექტივის სტუმრობა არა მარტო VII სიმპოზიუმის, არამედ, საზოგადოდ, ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ამ პროექტის ექსპერიმენტული ხასიათი გარემონტილად განაგრძო მომდევნო დღეს გამართულმა სიმპოზიუმის დახურვის სადამომ, რომელშიც ქართველი და უცხოელი შემსრულებლები იღებდნენ მონაწილეობას. კონცერტის დასკვნით ნომრად ყველა მონაწილემ ერთად შეასრულა ქართული პოლიფონიის ერთ-ერთი მწვერვალი – ხასანბეგურა. ამ ექსპერიმენტის მთავრი თავისებურება კი ის გახდათ, რომ ყოველი ტრიო ხასანბეგურას განსხვავებულ ვარიანტს მდერნდა, ბოლო მუხლში კი მათი ვარიანტების ერთობლიობამ სოხორული, კოსმიური ჟღრადობა შექმნა და აუდიტორია აღაფრთვა.



სიმპოზიუმის დახურვა

ტრადიციულად, სიმპოზიუმის ერთი დღე კულტურულ პროგრამას მიემდვნა. წელს გადავწყვიტეთ, მისი მონაწილეები უფლისციებში წაგვეყვანა. სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კლდეში ნაკვეთმა ამ უძველესმა ქალაქმა და იქ გორელებისა და უცხოელი მომღერლების მიერ სპონსორულ გამართულმა კონცერტმა, რომელიც, აღბათ, წარუშლელ მოგონებად დარჩება მათ მესხიერებაში.




ექსკურსია უფლისციებში

ამგვარად, წარმატებით ჩაიარა ტრადიციული მრავალხმიანობისადმი მიძღვნილმა კიდევ ერთმა საერთაშორისო ფორუმმა, რომელსაც ძველთან ერთად ბევრი ახალი მონაწილეც ჰყავდა. ვიმედოვნებთ, ისინი დიდხანს ვერ დაივიწყებენ საქართველოში გატარებულ დღეებს და მომავალშიც არეართხელ გვეწვიან.

**თეონა ლომსაძე  
ტბების საუციალისტი**

# ცნობილი უცხოელი ეთნომუსიკოლოგები

## ფრანც ფოედერმაირი



ფრანც ფოედერმაირი

ჩვენი რეპრიզის სტუმარია ფრანც ფოედერმაირი, ავსტრიელი ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნების მაგისტრი და ფილოსოფიის დოქტორი, ვენის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, ქართული მუსიკის თაყვანისმცემელი, ჩვენი ცენტრის დიდი მეგობარი და სიმპოზიუმების ერთგული მონაწილე. ბატონი ფრანცი ერთ-ერთია იმ უცხოელ მეცნიერთაგან, ვინც ხელი შეუწყო ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ჩამოყალიბებას 2002 წელს და მას შემდეგ სიმპოზიუმების უცვლელი მონაწილე იყო, რითაც სხვა ტიტულოვან მეცნიერებათან ერთად განსაზღვრავდა ჩვენი ფორუმების მაღალ სამეცნიერო ღონებს.

ფრანც ფოედერმაირის ეთნომუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი ობიექტია ფსიქო-აკუსტიკური და ფონეტიკური ფაქტორების ანალიზი და ინტერპრეტაცია ვოკალურ პოლიფონიაში. მისი სიტყვებით, „ფსიქოაკუსტიკა არის ხიდი მუსიკის ფიზიკურ სუბსტრატსა და მის აღქმას შორის“. სწორედ ფსიქოაკუსტიკური ანალიზის მეშვეობით ახდენს მეცნიერი სხვადასხვა ხალხის პოლიფონიური მუსიკის ანალიზს. მათ შორისაა: ბულგარული მართლმადიდებლური საგალობლები, აფრიკული და ბალიური ნიმუშები, ქართული ქალაქური სიმღერები დუდუკის თანხლებით და სხვ. გარდა ამისა, ფრანც ფოედერმაირი დაინტერსებულია ქართველ ტყვეთა იმ ჩანაწერებითაც, რომლებიც I მსოფლიო ომის შემდეგ იქნა გაკეთებული რობერტ ლახის მიერ. კერძოდ, მეცნიერი მსჯელობს ამ ჩანაწერების ნოტებზე გადარანის სირთულეებსა და დამსმარე კომპიუ-

ტერულ მეთოდებზე მეგრული, გურული და კახური სიმღერების მაგალითზე.

ფრანც ფოედერმაირი დაიბადა 1933 წლის 13 სექტემბერს გრისკირპჟი (ზემო ავსტრია); დაამთავრა ვენის უნივერსიტეტი მუსიკის, მუსიკოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის სპეციალობით, 1964 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1958-1964წწ. მუშაობდა საშუალო სკოლის პედაგოგი, იყო ვენის უნივერსიტეტის შედარებითი მუსიკოლოგიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ხოლო 1973-1999წწ. – სრული პროფესორი. 1986-1990წწ. იყო ავსტრიის მუსიკოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი. 1983 წლიდან არის ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ფრანც ფოედერმაირი ავტორია ათეულობით სამეცნიერო ნაშრომისა. მისი სამეცნიერო თვალსაზრისი საკმაოდ ფართო და მრავლისმომცველია, რაზეც მეცნიერის ნაშრომების სათაურებიც მეტყველებს: „პირველყოფილი ადამიანების ცეკვა“, „პრიმიტიული ხალხების მუსიკა“, „ეთნომუსიკოლოგია და ფოლკლორი“, „მუსიკალური ტემპი და ვოკალური სტილი“, „ინდური კლასიკური მუსიკა“, „შედარებითი და სისტემური მუსიკისმცოდნეობა“, „ავსტრიული ხალხური მუსიკის რიტმული კონსტრუქცია“, „მსოფლიოს კულტურული რეგიონები“, არაერთი გამოკვლევა ავსტრიული იოდლის შესახებ და ა.შ.

ყველაფერთან ერთად, ბატონი ფრანცი საოცრად დახვეწილი, ზომიერი, ინტერიგებული ბუნების ადამიანია, რაც მასთან ურთიერთობას მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის.

ჩვენ დიდ მადლიერებას გამოვხატავთ ფრანც ფოედერმაირის მიმართ ერთგული, მრავალწლიანი მეგობრობისათვის და ვუსურვებთ მას ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებებს.

## ტმპსც-ის გუნდი

# გიორგი გარაფანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის IX საერთაშორისო ფესტივალი და კონფერენცია

გიორგი გარაფანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი და კონფერენცია, რომელიც წელს მეცხრედ გაიმართა, ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც მხარს უმჯობეს თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმს, 2002 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ რომ იმართება.



4-6 ნოემბერს ფოლკლორულ კონცერტებს შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის დარბაზმა უმასპინძლა, კონფერენციას კი – ხელოვნების უნივერსიტეტმა. ფესტივალში მონაწილეობდნენ მეცნიერ-მკვლევები და ფოლკლორული ანსამბლები საქართველოდან, ლიტვიდან, უკრაინიდან და თურქეთიდან.

ფესტივალის დამაარსებელი და სულისხამდგენია მუსიკოლოგიის დოქტორი ხათუნა მანაგაძე, რომელმაც მთელი სული, გული, შემოქმედებითი ენერგია და ნიჭიერება ამ იდეის განხორციელებას მოახმარა. მას მხარში ამოუღა ბათუმის მაშინდელი კონსერვატორიის რექტორი ქეთევან გოგოლაძე და მათი ერთობლივი ძალის ხმევით ფესტივალი ყოველწლიურად წარმატებულად

იმართება. წლევანდელი ფორუმის ორგანიზატორები იყვნენ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტი და ქალაქ ბათუმის მერია.

ბათუმის კონფერენციების თემატიკა ჯერ-ჯერობით არაა შეზღუდული, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ყოველწლიურად იზრდება კონფერენციების მონაწილეობა რიცხვი და გეოგრაფიული არეალი, შესაძლებელია, სამომავლოდ კონფერენციების თემატიკა წინასწარ შეირჩეს. კონფერენციების სახით ახალგაზრდა მკვლევრებს საქართველოდან აქვთ საუკეთესო ასპარეზი თავიანთი ყოველწლიური სამეცნიერო მუშაობის შედეგების გამოსაქვეყნებლად და საზოგადოებისთვის გასაცნობად. უფროსი კოლეგების წინაშე გამოსვლით, ისინი იძენენ გამოცდილებას და სტიმულს მომავალი კვლევისთვის. წლევანდელი სიმპოზიუმის გველაზე ახალგაზრდა მკვლევარი იყო კონსერვატორიის ბაკალავრიატის II კურსის სტუდენტი მონაზონი ნინო (სამხარაძე), რომელმაც სამთავროს დედათა მონასტერში დაცული წმინდა ექვთიმე აღმსარებლის ხელნაწერები გამოიკვლია. წლევანდელ კონფერენციას მომხსენებლები მრავლად ჰყავდა: უცხოეთიდან – აბდულა აკატი (თურქეთი), ნატალია შერბინა (უკრაინა), იუსტე მიხაილიტე (ლიტვა); საქართველოდან – თეონა რუხაძე, ნატო ზუმბაძე, ნანა ვალიშვილი (ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი), ქეთევან ბაიაშვილი, ეკა შოშიაშვილი, სოფო კოტრიკაძე (ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი), დავით შეულიაშვილი, მაგდა სუხიაშვილი, ეკატერინე ონიანი, გიორგი კრავეიშვილი, ნინო რაზმაძე, ეკა ყაზარაშვილი, შორენა მეტრეველი, თეონა ლომსაძე, მარინა ხუხუნაშვილი (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია), თამაზ გაბისონია, ნინო მახარაძე, ნინო ნანეიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), მადონა უჯმაჯურიძე (თსუ), ლოლიტა სურმანიძე, ქეთევან ნაგერვაძე, ინგა ხალვაში (ბათუმი). განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ სიმპოზიუმის მონაწილეობა შორის ბოლო წლებში მატულობს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მკვლევარ-ეთნომუსიკოლოგთა რიცხვი. ვფიქრობთ, ეს უკვე იძლევა გარანტიას, უნივერსიტეტის ბაზაზე ტრადიციული მუსიკის პალეოს ლაბორატორიის დაარსებისა და ფუნქციონირებისა.



სამეცნიერო სესია

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბათუმური შეხვედრების საკონცერტო ნაწილი. ფესტივალის დაარსების მთავარი მიზანი იმთავითვე ტრადიციული შემსრულებლობის მხარდაჭერა იყო. ამ მიმდინარეობის აღორძინების სათავეები ანსამბლ „მთიებსა“ და მის დამაარსებელს ედიშერ გარაფანიძეს უკავშირდება, გიორგი გარაფანიძე კი დაარსებიდან ამ ფესტივალის აქტიური მონაწილე და მხარდაჭერი იყო. ამან განაპირობა, რომ გარდაცვალების შემდეგ ფესტივალს გიორგი გარაფანიძის სახელი მიენიჭა.

ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით სიმღერის ხვედრითი წილი ჭარბობს გალობისას, თუმცა, სიამოვნებით ვუსმენთ ჩინებულად შესრულებულ ქართულ საგალობლებსაც, განსაკუთრებით აჭარისა და თავად ბათუმის მომღერალ-მგალობელთაგან.

ბათუმის ფესტივალი ძალზე მნიშვნელოვანი და სტიმულის მიმცემია შემსრულებლებისთვის. იმთავითვე ტრადიციად იქცა, რომ ფესტივალი გზას ულოცავს ახალ ანსამბლებს: ყოველწლიურად ორი-სამი ახალი ანსამბლი სტუმრობს ბათუმს და თავისი შემოქმედების პრეზენტაციას მსმენელის წინაშე, ფაქტობრივად, ბათუმის ფესტივალზე ახდენს.

წელს ორ ახალ ანსამბლს გაეცნო მსმენელი – „მჭედლისა“ და „ძირიანს“: „მჭედლი“ ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმთან არსებული ახალგაზრდული ანსამბლია, რომელსაც ეთნომუსიკოლოგი ქეთევან ბაიაშვილი ხელმძღვანელობს, ანსამბლ „ძირიანს“ კი – ახალგაზრდა ლოტბარი და მკვლევარი თორნიკე სხიერელი. ფესტივალის საპატიო სტუმრები იყვნენ ანსამბლები – „მზეთამზე“ და „ნანინა“ (თეა კასაბური), უცხოეთიდან – „რატილიო“ (ლიტვა) და ბაიარ შაპინი-გუნდარიძის ჯგუფი (თურქეთი); ძირითადი მასპინძელი ანსამბლი – ბათუმის ახალშენის ფერიცვალების ტაძრის

გუნდი (ედუარდ გორგილაძე). ფესტივალის გახსნისა და დახურვის კონცერტები აკადემიურობით გამოირჩეოდა, მეორე დღეს კი იმპროვიზაციამ იმდლავრა: სტუმრები, რომლებიც ფესტივალზე დასასწრებად იყვნენ ბათუმში ჩამოსული, მოულოდნელად სცენაზე აღმოჩნდნენ – ანსამბლები „ადილე“ (თბილისი, დემეტრე ქირია) და „შემოქმედი“ (ოზურგეთი, ლაშა ჩხარტიშვილი), რითაც, ფაქტობრივად, მომავალი წლის საიუბილეო X ფესტივალში მონაწილეობა დააპიროს.



ფესტივალის დახურვა

ფესტივალის ყველაზე დიდი პრობლემა მსმენელის სიმცირეა: სამწუხაროდ, არასდროს ესწრება იმდენი მსმენელი, რამდენიც სასურველი იქნებოდა ასეთი მასშტაბის ფორუმისათვის. ვფიქრობთ, ეს საზოგადო პრობლემაა ჩვენს სინამდვილეში. თუმცა, ფოლკლორული კონცერტების ერთგული მსმენელი ყოველთვის ახერხებს ჩამოსვლას არა მხოლოდ აჭარის რაიონებიდან, არამედ ოზურგეთიდან და თბილისიდანც კი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: კარგია, როცა გაქვს დარბაზი, სადაც ფართო აუდიტორია ეტევა; თუმცა, ასეთი კონცერტებისთვის, ალბათ, უფრო მყუდრო და კამერული დარბაზი იქნებოდა უმჯობესი.

ამგვარი ფორუმები საუკეთესო შანსია თაობათა ურთიერთდაბეჭდოებისა: ახალგაზრდა თაობა ხშირად არ იცნობს დვაწლმოსილი ანსამბლების შემოქმედებას, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ვეღარ ეწევიან (მაგალითად, „მზეთამზეს“), ამას გარდა, თბილისელები ყოველთვის ვერ ვახერხებთ ახალგაზრდა ანსამბლების მოსმენას და მათი შემოქმედების თვალყურისდევნებას. ბათუმში ამისთვის საუკეთესო პირობებია – სამი-ოთხი დღე მთლიანად ფესტივალის ცხოვრებით ცხოვრობ და ანსამბლების შემოქმედებას არაფორმალურ სიტუაციაშიც ეცნობი...

ფესტივალის კიდევ ერთი კარგი ტრადიციაა ეთნოგრაფიული ფილმების ჩვენება. წელს გაიმართა თინათინ ჭაბუკიანის ფილმის „გურჯის გულის“ პრემიერა, რომელიც თურქეთის ქართველების ყოფასა და ტრადიციებზე გვიამბობს. ფესტივალის მემატიანებ გიგი ნახუცრიშვილმა კი არც ამჯერად გაგვაწილა – მისმა ფილმმა „ხიხაძირის ქაბულის მინდვრები“ ამ ხეობის საოცარ ტრადიციებს გვაზიარა.

**ნანა ვალიშვილი  
ეთნომუსიკოლოგი,  
საქართველოს ფოლკლორის  
სახელმწიფო ცენტრის ხალხური  
მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი**

## **ქართული ფოლკლორისტის სათავეებთან**

### **ზაქარია ფალიაშვილი**



**ზაქარია ფალიაშვილი**

ქართული მუსიკალური ფოლკლორის შეკრება-შესწავლის საქმეში დიდი დგაწლი მიუძღვის ეროვნული პროფესიული მუსიკის კლასიკოსს ზაქარია ფალიაშვილს, რომლის კომპოზიტორული შემოქმედების მთავარ მასაზრდოებელი წერტილი მუსიკა იქცა. მისი მა-

ლისხმევა მიმართული იყო ახალი ტიპის ეროვნული პროფესიული მუსიკალური აზროვნების შექმნისაკენ, რისთვისაც საჭირო იყო ორი რამ – ეპოდული მუსიკის ფორმებისა და ჟანრების საფუძვლიანი შესწავლა, რაც მან მოსკოვის კონსერვატორიაში პროფესორ ტანევის ხელმძღვანელობით გააკეთა და ეროვნული ტრადიციული მუსიკალური აზროვნების თავისებურებებში წვდომა. ამ მიზნის მისაღწევად ფალიაშვილი არა მარტო იწერდა და თეორიულად იაზრებდა ტრადიციულ მრავალხმიან სიმღერა-გალობას, არა მედ ისწრაფვოდა, იგი ემოციურ-ფსიქოლოგიურად გაეთავისებინა და მისი საკუთარი მუსიკალური სააზროვნო სისტემის განუყოფელ ნაწილად ექცია. სწორედ ამისკენ იყო მიმართული მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა, სანამ საკომპოზიტო მუშაობას შეუდგებოდა (1908). ხალხური მუსიკალური შემოქმედებისადმი სიყვარული ლადო აღნიაშვილის გუნდმა – „პირველმა ქართულმა ქორომ“ გაუდვივა, რომელშიც იგი ძმასთან – ივანესთან ერთად მდეროდა (1885). შემდგომ, თბილისის სამუსიკო სასწავლებელში სწავლისას, ზაქარია დაინტერესდა ხალხური სიმღერების არსით, მათი კილო-პარმონიული, მელოდიური და რიტმული თავისებურებების შესწავლით.

ფოლკლორისტები მოღვაწეობა ზ. ფალიაშვილმა 1901 წელს დაიწყო, როცა მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტი იყო. მან 15 წლის მანძილზე მოიარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე, ფონოგრაფით ჩაწერა 300-მდე სიმღერა და სასულიერო საგალობელი, მოახდინა მათი სისტემატიზაცია და ნოტებზეც გადაიღო. სამუშაროდ, უსახსრობის გამო, ამ სიმღერათა უმეტესი ნაწილი გამოუცემელი დარჩა.

პირველად მან იმოგზაურა ქახეთის სოფლებში: წინანდალი, კისისხევი, სანიორე, შილდა, ყვარელი, თელავი. 1908 წელს კომპოზიტორი კვლავ სწვევია კახეთს. ამ კუთხეში მოგზაურობის შთაბეჭდილებები მან გამოაქვეყნა გაზეთ „ამირანში“ (№151, 1908) სახელწოდებით „ჩემი მოგზაურობა კახეთში და ქართული სახალხო სიმღერების დღეგანდელი მდგომარეობა“. ზაქარია აღფრთოვანებით მოიხსენიებს მომღერლებს სოფელ შილდადან: ლევან ასაბაშვილს („დედას ლევანი“), ბათო როსტომაშვილსა და ალექსი ელოშვილს, რომელთაგან მას 15 სიმღერა ჩაწერია, თუმცა გულისტიკილით აღნიშნავს იმასაც, რომ კახეთში ძველებური ჭარმაგი ხალხური სიმღერა თანდათანობით გადაგვარების გზაზე დგას და გავრცელებულია „ახლადგამომცხარი, ვითომდა ქარ-

თული სიმღერები“, რომელთაც ამ უკანასკნელებთან არაფერი საერთო არ აქვთ. გამოსავალს ამ მდგომარეობიდან კომპოზიტორი სოფლებში მყოფ სიმღერა-გალობის მასწავლებელთა მიერ ძველი ჩანაწერების ნოტებზე გადადებასა და ახალგაზრდებისთვის აქტიურად მიწოდებასა და სწავლებაში ხედავდა.

1903 წელს ზაქარიამ მოიარა გურია, იმერეთი და რაჭა, თუმცა, ამ პერიოდის ფოლკლორული ექსპედიციების შესახებ შემორჩენილ დოკუმენტურ მასალაში მხოლოდ ისაბ დაფიქსირებული, თუ რომელ სოფელში რა სიმღერებია ჩაწერილი. გურიაში კომპოზიტორს ოზურგეთისა და ლანჩხუთის რაიონებში უმოგზაურია. აქ ჩაწერილი სიმღერებიდან 8 შესულია ხალხური სიმღერების კრებულებში, ნოტებზე გადადებული ხელნაწერების ნაწილი მისი სახლ-მუზეუმის არქივში ინახება, ნაწილი კი დაკარგულია.

გამოცემული 47 სიმღერიდან 23 სვანურია, რაც მოწმობს კომპოზიტორის განსაკუთრებულ ინტერესს ამ უმშვენიერესი კუთხის სამუსიკო ფოლკლორისადმი.

ექსპედიცია სვანეთში ზ. ფალიაშვილმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მხარდაჭერით 1903 წელს მოაწყო. მას თან ახლდა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელიც დაინტერესებული იყო ისტორიული ძეგლების შესწავლით.



ზ.ფალიაშვილის მოგზაურობა სვანეთში  
(მარცხნიდან პირველი – ზ. ფალიაშვილი)

მათ იმოგზაურეს სოფლებში: ლეუშიერი, ლაშხეთი, იფარი, უშგული, ეცერი. აქ ჩაწერილი სიმღერები ჩვენთვის ცნობილია ფილარმონიული საზოგადოების მიერ გამოცემული კრებულიდან, რომელსაც წამდლვარებული აქვს კომპოზიტორის წინასიტყვაობა (გამოქვეყნებული 1903 წლის გაზვან „ივერიაში“ (№175)): „ჩემი მოგზაურობა სვან-

ეთში და სვანური ხალხური სიმღერები“. აღსანიშნავია, რომ ფალიაშვილი გამწვდის ცნობებს არამარტო სიმღერების, არამედ ხალხური საკრავების შესახებაც.

ზაქარია ფალიაშვილმა ჯერ კიდევ თავისი მუსიკალურ-ფოლკლორისტული მოღვაწეობის დასაწყისში გამოთქვა აზრი ქართული ტრადიციული მუსიკის სტილისტური ერთიანობის შესახებ. ამაში კომპოზიტორი დაარწმუნა სვანეთში ჩაწერილი სიმღერების მსგავსებამ ქართლ-კახურ და რაჭულ სიმღერებთან. იგი წერს: „ეს ფაქტი იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ძველად ყველგან ქართული თემის სამუსიკო ერთობა უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ, სხვადასხვა გარემოების გავლენით, ზოგან ეს ერთობა დარჩენილიყო უცვლელი, როგორც სვანეთში და რაჭაში, ზოგან კი ცოტად შეცვლილიყო, როგორც გურია-იმერეთში“. ამ მოსაზრებას საფუძვლად სხვადასხვა კუთხის ქართული ხალხური სიმღერების საერთო კილო-ჰარმონიული წყობა უდევს.

ქართული მუსიკალური კულტურისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფალიაშვილის მიერ შედგენილ „ქართული ხალხური სიმღერების კრებულსა“ და „8 ქართულ სახალხო სიმღერას“. პირველი კრებული შედგება 42 სიმღერისაგან (იმერული, გურული, რაჭული, სვანური და ქართლ-კახური) და დართული აქვს კომპოზიტორის საკმაოდ ვრცელი წინასიტყვაობა. კრებულში ზუსტადაა მითოებული თითოეული სიმღერის ჩაწერის ადგილი, დაზუსტებულია ცალკეული ბგერების სიმაღლეები (მაგ: მი-სა და ფა-ს შორის), სიმღერის ტემპი და ხასიათი, ჟანრი, უცხო სიტყვების განმარტებები.

მეორე კრებული „8 ქართული სახალხო სიმღერა“ შეიცავს კომპოზიტორის მიერ დამუშავებულ ხალხურ სიმღერებს „ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპიანოს თანხლებით“. ეს კრებული ნიმუშია ფალიაშვილის, როგორც კომპოზიტორის მაღალი პროფესიული ოსტატობისა.

ზაქარია ფალიაშვილის დვაწლი ფასდაუდებელია ქართული სასულიერო მუსიკის ისტორიაშიც. მას კარგად ესმოდა, რომ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქართული საგალობლები თავისი მაღალმხატვრული დონით მსოფლიოს სასულიერო მუსიკის შედევრებს უტოლდებოდა. სწორედ ამან განაპირობა კომპოზიტორის განსაკუთრებული გულისხმიერება და ყურადღება მათ მიმართ.

გასული საუკუნის დასაწყისში ფალიაშვილი ხელმძღვანელობდა მგალობელთა გუნდს, რომელიც 1910 წელს ქაშვეთის ეპ-

ლესიის ახალი შენობის კურთხევისას რუს მგალობელთა გუნდს უწევდა მეტოქეობას. ხალხურ სიმღერებთან ერთად იგი სერიოზულად მუშაობს ქართული საეკლესიო საგალობლების დამუშავებაზეც – მან იპოლიტოვანოვის მიერ კარტელაშვილებისაგან ჩაწერილი იოანე ოქროპირის წირვის საგალობლები ამავე წელს დრამატურგიულად ერთ ციკლად შეკრა, უთანხლებო შერეული გუნდისათვის გადამუშავა და ქართული სასულიერო მუსიკის პირველი უაღრესად საინტერესო საკონცერტო ნიმუში შექმნა – „ქართული (ქართლ-კახური კილო) საეკლესიო საგალობლები იოანე ოქროპირის წირვის წესისა და ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ხმაშეწყობილი ზაქარია ფალიაშვილის მიერ“.

„დღეს თუ ქართულ ხმებში კიდევ დაცულია სახალხო კოლორიტი და ბევრად თუ ცოტად შეუცდომელია (შეუცლელიარედ), ეს ქართული საეკლესიო გალობაა“ – წერდა იგი.

ზაქარია ფალიაშვილის ქმნილების მუსიკალური ენა ეროვნული ტრადიციული მუსიკიდანაა ამოზრდილი. ექსპედიციიდან დაბრუნებისთანავე იგი იწყებდა მოპოვებული მასალის გაშიფრვას – ნოტებზე გადაღებასა და გადამუშავებას, მასალად მომზადებას თავისი ნაწარმოებებისთვის. როგორც თვითონ წერს, მუშაობის დროს დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ქართული სიმღერის პარმონიზაციას, უცვლელად და ხელუხლებლად ტოვებდა ხალხის მიერ დაღგენილ „ეროვნულ თვისებებს“. სწორედ ამიტომაა მისი შემოქმედება ასეთი ღრმად ეროვნული.

ზაქარია ფალიაშვილი, სამაგალითო გულმოდგინებას იჩნდა ხალხური სასიმღერო მასალის შეგროვება-დამუშავებასა და გამოცემაში, ამავე დროს, ცდილობდა, სხვა ბშიც აღეძრა ასეთივე სურვილი და დაერწმუნებინა ამ საქმის საშვილიშვილო მნიშვნელობაში. იგი, დიმიტრი არაყიშვილთან ერთად ქართული მუსიკალური ფოლკლორისტის სათავეებთან იდგა და ტრადიციულ მუსიკალურ კულტურაზე თავისი საინტერესო დაკვირვებებით მრავალმხრივი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის პერსპექტივები დასახა. მიუხედავად ამისა, ზაქარია ფალიაშვილი, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედი იყო, ქართული ტრადიციული მუსიკისადმი მის დამოკიდებულებაში მკაფიოდ იკვეთება კომპოზიტორის მისწრაფება შექმნას საქართო მუსიკაში „ხალხურიბის ატმოსფერო“ (ბარბოკი). ამას ადასტურებს მთელი მისი მსატვრული მემკვიდრეობა, განსაკუთრებით კი უკვდავი „აბესალომ და ეთერი“, რომე-

ლმაც წარუშდელი კვალი დატოვა XX საუკუნის ქართულ პროფესიულ მუსიკაში და მნიშვნელოვნად განაპირობა მისი თვითმყოფადობა.

ლიტ.: შალვა კაშმაძე.  
ზაქარია ფალიაშვილი, თბ., 1948;  
ვლადიმერ დონაძე.  
ზაქარია ფალიაშვილი, თბ., 1971;  
პავლე ხუჭუა.  
ზაქარია ფალიაშვილი, თბ., 1974  
ოთარ ჩიჯავაძე.  
ზაქარია ფალიაშვილი, თბ., 1976

## ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი

### „ძირიანი“

ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი „ძირიანი“ სულ რამდენიმე წელია შეიქმნა და უკვე მხმარებელის დიდი მოწოდება და სიყვარული მოიპოვა. ეს განაპირობა ჯგუფის ეთნოგრაფიულმა შემადგენლობამ და ავთებიტური შესრულების მანერამ. მათ სცენაზე რაჭული სული გააცოცხლებ და მხმარებლი საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის უძველეს ფოლკლორს აზიარებს. დანარჩენს თვით ანსამბლის ხელმძღვანელი, თორნიკე სხივრული გვეტყვის.

**შ.ხ.** – როდის დაგებადათ ანსამბლის ჩამოყალიბების იდეა და ძირითადად რამ განაპირობა ეს?



„ძირიანის“ ხელმძღვანელი თორნიკე სხივრული

**თ.ს.** – ანსამბლის შექმნის იდეა დიდი ხნის წინ დამებადა, რაც ქალაქში ჩამოვედი და რაჭული მუსიკალური ფოლკლორის სიმწირე ვიგრძენი, იმ დღიდან... ჩემს არაერთ მეგობარს ვთხოვვ დახმარება და კონსულტაცია, თუ როგორ შეიძლებოდა ამ იდეის ხორცშესხმა, ან დირდა თუ არა საერთოდ ამ ნაბიჯის გადადგმა. ამ ვებერთელა ქალაქში დიდი პასუხისმგებლობაა, წარადგინო შენი კუთხის ფოლკლორი საკმაოდ ყურმახვილი და „ჩასაფრებული“ საზოგადოების წინაშე. მოკლედ! ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი „ძირიანი“ შეიქმნა 2011 წლის ნოემბერში. იდეის მთავარი არსი იყო, შემეტრიბა წარმოშობით რაჭველი ახალგაზრდები და აღმედგინა ის, რაც ასე დეფიციტური იყო, როგორც მათვის, ისე მსმენელისათვის.

**მ.ს.** – რას ნიშნავს „ძირიანი“ და რატომ დაარქით თქვენს ჯგუფს ეს სახელი?

**თ.ს.** – „ძირიანი“ იმ სოფლის სახელწოდებაა, საიდანაც ჩემი გვარი მოდის, დღეს ამ სოფელს „სხიერი“ ჰქვია. კანკელის ქა, რომელზეც ეს მინაწერია, არქეოლოგმა და ეთნოლოგმა გიორგი ბოჭორიძემ ნახა. მან სცადა მინაწერის გაშიფრვა და რამდენიმე ვერსია დასახელდა. სულ რამდენიმე წლის წინ კი ჩემმა მეგობარმა, ისტორიკოსმა დავით ჯაფარიძემ დაიწყო ამ საკითხებე მუშაობა და დიდი დაკვირვებისა და შესწავლის შემდეგ, წარწერა გაშიფრა. იგი ასე იკითხება: „წმიდაო გიორგი, შეიწყალე ძირიან სოფელი, ამის ეკლესია და მოწამენი... ეს სახელი მე ძველებისგან სხვა ინტერპრეტაციით მქონდა გაგონილი: „ძველსოფლი“. ახალმა ცნობამ ჩემზე გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა... ეს აღმოჩენა თითქმის დაემთხვა ანსამბლის ჩამოყალიბებას... შესაბამისად, მის წევრებს ჩემი ვერსია შევთავაზე და მათაც მოიწონეს.



„ძირიანი“ VII სიმბოზიუმის დახურვაზე

მგონი, ჩვენი საქმიანობაც ამართლებს სახელს, ვინაიდან ძირით და გენით ყველანი რაჭელები ვართ და იმ ძველ მუსიკალურ ნიმუშებს აღვაგენთ, რაც მივიწყებულია.

**მ.ს.** – რამდენი წევრია ანსამბლში? წარმოგვიდგინეთ ისინი.

**თ.ს.** – თავდაპირველად ჯგუფი 17 კაცისაგან შედგებოდა. ამჟამად 12 კაცია. შემადგენლობა შერეულია (ქალთა და მამაკაცთა). გუნდის წევრებს შორის არიან მუსიკოსები, რეჟისორები, აგრონომები, გვყავს სკოლის მოსწავლეები. ჩამოგითვლით მათ: ლაშა სვანი, ანა ბაკურაძე, გვანცა მეტრეველი, თათია სხიერელი, ნიკუშა ხიდეშელი, ნიკა გაგნიძე, თორნიკე გაგნიძე, ზაზა სულთანიშვილი, გორგი სხირტლაძე, თორნიკე კობახიძე, იური ბეშიძე, ზაზა ჩალაძე და თქვენი მონა-მორჩილი.

**მ.ს.** – რა სიხშირით იკრიბებით და გაქვთ თუ არა სარეპეტიციო დარბაზი?

**თ.ს.** – რეპეტიციები ჩვეულ რიტმში, კვირაში ორი დღე გვაქვს ხოლმე, თუ რაიმე ღონისძიებისთვის ვემზადებით, რა საკვირველია, უფრო ხშირად... სამჯერ, ოთხჯერ...

სარეპეტიციო ნიკა რაჭელმა (მემანიშვილმა) გამოგვიყო, თუმცა ყოველთვის იქაც ვერ ხერხდება მეცადინეობა ჯგუფების სიმრავლის გამო...



**მ.ს.** – რას გეეტყვით რეპერტუარის შესახებ? როგორც ვიცი, მისი ძირითადი ნაწილი რაჭული სიმღერებია.

**თ.ს.** – რეპერტუარს რაც შეეხება, ჩვენი ძირითადი მიზანი დაკარგული, მივიწყებული რაჭული მუსიკალური ნიმუშების აღდგენას ემსახურება. სხვა კუთხის სიმღერებსაც ვსწავლობთ, თუმცა მხოლოდ სამოყვარულოდ, რადგან ვთვლი, რომ ამის არც საჭიროებაა და არც აუცილებლობა... ჩვენ რაჭულ მუსიკალურ ნიმუშებს ვუწევთ პოპულარზაციას ტრადიცული შესრულებით.

**მ.ს.** – რას გეგმავთ სამომავლოდ?

**თ.ს.** – გეგმები ბევრი გვაქვს ... გვინდა დისკის ჩაწერა, თუ მოგვიხერხდა და გამოგვინდა გვერდით მდგომი, რადგან ამ ეტაპზე საკუთარი შესაძლებლობებითა და ენთუზიაზმით ვსაზრდოობთ; შემდეგ პრეზენტაცია იმისა, რაც მოექცევა „რაჭული ფოლკლორის საღამოს“ ფარგლებში...

ჯერჯერობით ესაა და ჯერ წინ ბევრი გვაქვს სავალი და საცეკვი ... სამდერი და საცეკვი...

**გ.ხ.** – დიდი მადლობა. წარმატებები „მირიანს“!

### ინტერვიუ ჩაიწერა მაკა ხარძიანმა

## ერთი უცხოური ფოლკლორული ანსამბლი

### ბულგარეთის ეროვნული ფოლკლორული ანსამბლი

ბულგარეთის ეროვნული ფოლკლორული ანსამბლი შეიქმნა 1951 წელს ცნობილი ბულგარელი კომპოზიტორის, ბულგარეთის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფოლკლორისტის – ფილიპ კუტევის (1903-1982) მიერ, რომელიც მთელი ცხოვრება თცხებობდა, რომ ქვეყნის ფოლკლორული ტრადიცია სცენაზე აეტანა.



ფილიპ კუტევი – ანსამბლის დამარსებელი

მისი მიზანი იყო ბულგარული ხალხური სიმღერის მდიდარი მემკვიდრეობისა

და ტრადიციული ცეკვის გაერთიანება, ბულგარელთა ლამაზი ვოკალური ტემბრებისა და არარეგულარული საცეკვაო რიტმების ხაზგასმა. ანსამბლის წევრები იყვნენ ბულგარეთის სოფლების მკვიდრნი.

ფილიპ კუტევის ფოლკლორული ანსამბლის პირველი საკონცერტო გამოსვლა 1952 წელს სოფიაში შედგა. სპეციფიკურმა ბულგარულმა ხმამ პირველი გაედერებისთანავე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აუდიტორიაზე. სცენაზე პირველად წარმოდგენილმა ბულგარულმა ხალხურმა საკრავებმა და ცეკვებმა უჩვეულო რიტმები და სახეები წარმოაჩინა.

ანსამბლი მაღევე გახდა პოპულარული და სამაგალითო ქვეყნის მასშტაბით შექმნილი სხვადასხვა ანსამბლებისთვის. მოგვიანებით შექმნილმა ბულგარულმა დიდმა და პატარა ხალხურმა ჯგუფებმა და გუნდებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვეს.

ფილიპ კუტევის ფოლკლორული ანსამბლის მიერ შესრულებული რამდენიმე ნიმუში შესულია მათ პირველ ორ კომპაქტურ დისკში.

ფილიპ კუტევის ცხოვრების ყველაზე ერთგული მეცნიერები, ასისტენტი და მიმდევარი მისი მეუღლე მარია კუტევა (1918-2002) იყო. 1994 წლიდან ფილიპ კუტევის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი მისი ქალიშვილი პროფ. ელენა კუტევა გახდავთ.

ანსამბლის ხელმძღვანელი გუნდის ამჟამინდელი წევრები არიან: მთავარი დირიჟორი – გიორგი ანდრეევი (ორკესტრის დირიჟორი); გიორგი გენოვი – გუნდის დირიჟორი; ივაილო ივანოვი – ქორეოგრაფი; დიმიტრარ ტოდოროვი – კონცერტმასტერი; ილია ცონევა – მთავარი ბუღალტერი.



ფილიპ კუტევის ფოლკლორულმა ანსამბლმა განვითარების სამი ძირითადი ეტაპი გაირა. „კლასიკური“ შეიძლება ვუწოდოთ პერიოდს ანსამბლის დაარსებიდან ფილიპ

კუტევის გარდაცვალებამდე (1982). ეს პერიოდი უშუალოდაა დაკავშირებული დამაარსებლის სახელთან, ანსამბლის შექმნასთან დაკავშირებულ მის დგაწლთან და ანსამბლის პოულარიიზაციისათვის გაწეულ უზარმაზარ შრომასთან.

ე.წ. „პოსტ-კლასიკურ“ პერიოდში მიხაილ ბუკურეშტლევმა და სტეფან დრაგოსტინოვმა (მთავარმა სამხატვრო დირექტორებმა და კომპოზიტორებმა), სამხატვრო ხელმძღვანელმა ტეოდოსი სპასოვმა, ფოლოლოვგმა და ფოლკლორისტმა მარია კუტევამ, დირიჟორებმა და კომპოზიტორებმა კრასიმირ კიურჩისკიმ და მიხაილ იორდანოვმა, ქორეოგრაფებმა მარგარიტა დიკოვამ, კირილ დიენევმა და იორდან იანაკიევმა და მრავალმა სხვამ ანსამბლის რეპერტუარი გამდიდრეს ბულგარული ხალხური მუსიკისა და ცეკვების ავთენტური ინტერპრეტტაციებითა და სახელოვანი ბულგარელი კომპოზიტორებისა და ქორეოგრაფების არანჟირებებით.



დღეს ფილიპ კუტევის ფოლკლორული ანსამბლი მიჰყვება მე-20 საუკუნის დასასრულისა და 21-ე საუკუნის დასაწყისის სტილისტურ და ეანრულ ტენდენციებს, თუმცა, არ დაღატობს ბულგარული მუსიკის მდიდარ ტრადიციებს. კონცერტები სოფიის სოლისტთა კამერულ ანსამბლთან, ალბენის თეატრთან, ძლიერასის მულტისტილისტური სიუიტები მიუთითებს სხვადასხვა უანრებისადმი ანსამბლის არატრადიციულ დამოკიდებულებაზე. ფილიპ კუტევის ფოლკლორულმა ანსამბლმა სახელი გაითქვა თავისი ინოვაციური სპექტაკლებით.

ანსამბლის ამჟამინდელი რეპერტუარი წლების მანძილზე ყალიბდებოდა და სრულდებოდა სამი მთავარი ჯგუფის – ქალთა ხალხური გუნდის, შერეული ხალხური ცეკვის ჯგუფისა და ხალხური საკრავების ორკესტრის მიერ.

ფილიპ კუტევის ფოლკლორულ ანსამბლს მსოფლიო აღიარება მოუტანეს ბრწყინვალე მოცეკვავებმა და გასაოცარი ვოკალური ტექნიკის მქონე გუნდმა, ასევე, ბულგარულ ხალხურ საკრავებზე: გაიდაზე (გუდასტვირი); კავალზე (ხის ფლეიტა); გადულკაზე (ვერტიკალური ვიოლინო) და ტამბურაზე (გრძელ-ტარიანი ვიოლინო) დამკვრელებმა. არსებობის 50 წლის მანძილზე ხალხური მომღერლების, მოცეკვავებისა და ინსტრუმენტალისტების თაობებმა 500-ზე მეტი უნიკალური ნიმუში შეასრულეს; ბულგარეთისა და ევროპის, აზის, ამერიკისა და აფრიკის 49 ქვეყანაში ჩატარეს 5300-ზე მეტი კონცერტი; ანსამბლმა მსოფლიოში ასობით ათასი გულსემატკივარი შეიძინა, ჩაწერა მრავალი ფირფიტა, კომპაქტური დისკი, მაგნიტური და ვიდეოფირი, ვიდეო კლიპი, სატელევიზიო და დიდ-ეკრანიანი ფილმი. ეს ყველაფერი, უდავოდ, ადასტურებს ფილიპ კუტევის ფოლკლორული ანსამბლის უზარმაზარ წარმატებას.

მასალა აღებულია ვებ-გვერდიდან  
[www.collegiummusicum.org](http://www.collegiummusicum.org)

## ქართული სიმღერის მოამაგეები

### ისლამ ფილფანი

ხაქართველოში, სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელად დარჩა უხუცესი ლოტბარები, რომლებიც დღემდე ემსახურებიან ქართული ძუსიალური ფოლკლორის გადარჩენა-აღდგენისა და პოპულარიზაციის საქმეს. ერთ-ერთი მათგანია სვანური ფოლკლორის მომაგე და უბადლო შემსრულებელი, მესტიის ფოლკლორული გუნდი „რიპოს“ ხელმძღვანელი – ისლამ ფილფანი.



ისლამ ფილფანი

**მ.ს.** – ბატონო ისლამ, თქვენ ტრადიციული მომღერლების ოჯახში გაიზარდეთ, მოგვიყენოთ ამის შესახებ.

**ი.ფ.** – ჩემს ოჯახში ყველა მღეროდა: მშობლები, მმა და სამი და.

**მ.ს.** – როდის ჩამოაყალიბეთ ანსამბლი „რიპო“ და რა პრინციპით არჩევდით მისთვის რეპერტუარს?

**ი.ფ.** – 1967 წელს მე სათავეში ჩავუდექი მესტიის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, რომელსაც პლატონ დადვანი ხელმძღვანელობდა. სახლი „რიპო“ ჯგუფს მოგვიანებით დაერქვა.

**მ.ს.** – ანსამბლი დღემდე აქტიურად მოღვაწეობს, მოგვიყენით ამის შესახებ.

**ი.ფ.** – „რიპო“-ში ამჟამად უკვე მე-2 თაობაა, ძველებიდან მხოლოდ 4-5 მომღერალია შემორჩენილი, დანარჩენები ახალგაზრდები არიან. ჯგუფში სულ 25-30 წევრია მოცემულების ჩათვლით. ვმდერით ყველა სვანურ სიმღერას, რაც კი შემორჩენილია; გასტროლებზე შედარებით იშვიათად დავდივართ; 2013 წელს მეორედ მივიღეთ მონაწილეობა პარიზის „მსოფლიო კულტურის სახლის ფესტივალში“. პირველად 1999 წელს ამ ფესტივალში.

ვალზე ჯგუფმა ისეთი დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ მეორედაც მიგვიწვიეს.



ანსამბლი „რიპო“

**მ.ს.** – მხოლოდ სვანურ სიმღერებს ასრულებთ თუ სხვა კუთხეებისაც? მე ვიცი, რომ თქვენ მეგრული სიმღერებიც უხვად იცით.

**ი.ფ.** – სამეგრელოში 2 წელი ვასწავლიდი სიმღერებს, ამიტომ ბევრი მეგრული სიმღერაც ვიცი. „რიპო“ ასრულებს სვანურ, მეგრულ, გურულ ნიმუშებს, ერთი სიტყვით, თითქმის ყველა კუთხის სიმღერებს.

**მ.ს.** – თქვენ, გარდა ლოტბარობისა, კომპოზიტორულ მოღვაწეობასაც ეწევით – სვანურ სტილში ქმნით სიმღერებს. გვითხარით ამის შესახებ.

**ი.ფ.** – სამიოდე სიმღერა მაქს შექმნილი: „ნანილა“, „სიმღერა მთამსვლელებზე“, და „სიმღერა ვიცბილ-მაცბილზე“.

**მ.ს.** – თქვენ ჭუნირზე უბადლო შემსრულებელი ბრძანდებით, ცნობილია სვანური სიმღერების თქვენებული საჭუნირო ვარიანტები. როდის და როგორ გაგიჩნდათ ამის იდეა?

**ი.ფ.** – დაკვრა ჩემით ვისწავლე მამაჩემის ჭუნირზე, მაქს ჩემეული სტილი.

**მ.ს.** – როგორც ვიცით, თქვენი შვილი, ბატონი ვახტაგი აგრძელებს საოჯახო ტრადიციებს, მას ბავშვთა ანსამბლი ჰყავს, რომელიც, ალბათ, „რიპოს“ მომავალი თაობაა. რას გვეტვით ამის შესახებ?

**ი.ფ.** – დიახ, მას სურვილი რომც არ ჰქონდეს, ეს ოჯახური ტრადიციაა, რომელიც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ამჟამად ის „რიპოს“ მენეჯერია; ასევე ჰყავს ახალგაზრდული ჯგუფი, რომელიც შემდგომ „რიპოს“ ცვლა იქნება.

**მ.ს.** – საინტერესოა თქვენი აზრი ახალგაზრდების ფოლკლორთან ურთიერთობისა და თანამედროვე ფოლკლორული ანსამბლების შესახებ. რა მოგწონთ და რის გამოსწორებას ურჩევდით საბავშვო თუ ახალგაზრდულ ანსამბლებს?

**ი.ჟ.** – ეს როგორი და სათუთი თემაა. დღევანდები ახალგაზრდულ ახსამბლებს თავის რეპერტუარში ხშირად შეაქვთ ე.წ გარემიქ-სებული ნიმუშები, რითაც ძირძველი სიმღერები ძალიან იჩაგრება. ჩვენ ვცდილობთ, მათ გავუწიოთ კონსულტაცია, ჩაგუნერგოთ სიძველების პატივისცემა.

**გ.ს.** – დაბოლოს, თქვენი სამომავლო გეგმების შესახებაც გვითხარით ორიოდე სიტყვა.

**ი.ჟ.** – სამომავლოდ ჩვენი მიზანია ანსამბლ „რიპოს“ ბაზაზე ფესტივალი ნაკლებად შესრულებული სვანური სიმღერის პოპულარიზაცია. ჩვენს რეპერტუარში უკვე არის რამდენიმე ასეთი ნიმუში, მაგ.: „ო, ქრისდეშ“, „შეხე, აბრამ“, „ცხაუ ქრისდეშ“, „გოგინოლა“ და სხვ.

**გ.ს.** – დიდი მადლობა, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წარმატებებს...

### ინტერვიუ ჩაიწერა მაკა ხარძიანმა

### ექსპედიციის დღიური

### ექსპედიცია ბორჯომის რაიონში

ბორჯომის რაიონი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ეთნო-მუსიკოლოგიური კვლევისათვის საინტერესო რეგიონს წარმოადგენს. იგი ქართლისა და მესხეთის საზღვარზეა მოქცეული. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ბორჯომის რაიონი ეთნიკური უმცირესობებითაც არის დასახლებული და ეს ფაქტი რეგიონისადმი ინტერესს ერთიორად ზრდის.

ქართლი და მესხეთი მუსიკალური თვალსაზრისით კარგადაა შესწავლილი, რასაც ვერ ვიტყვით ბორჯომის რაიონზე. ერთადერთი ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიცია ბორჯომში XX საუკუნის 60-იან წლებში (1967) ოთარ ჩიჯავაძემ ჩაატარა. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის ლაბორატორიის არქივში დაცული ხელნაწერებიდან ირკვევა, რომ 3 ივლისიდან 2 აგვისტომდე მეცნიერს 12 სოფელი შემოუვლია და მხოლოდ 25 ნიმუშის შეკრება მოუხერხებია. სამწუხაროდ, ჩანაწერების არარსებობის გამო, ამ მასალებზე ვერაფერს ვიტყვით.

2014 წლის აგვისტოში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის

ორგანიზებით ბორჯომის რაიონში საგანგებო ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიცია ჩატარდა. ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი – თამაზ გაბისონია, ხოლო წევრები – ამავე უნივერსიტეტის მაგისტრანტი – ლევან ბითაროვი და დოქტორანტი – სოფიკო კოტრიკაძე. ექსპედიციის მიზანი ამ რაიონში დღეისათვის არსებული ადგილობრივი სასიმღერო პანგებისა და საკრავიერი ნიმუშების, ასევე ზეპირსიტყვიერი და ეთნოგრაფიული ცნობების ფიქსირება იყო. ექსპედიციამ ერთი კვირის მანძილზე ბორჯომის ხეობის 11 სოფელი (ბორჯომი, წაღვერი, მზეთამზე, ტომოთესუბანი, ბაკურიანი, საკირე, დვირი, სადგერი, დაბა, ახალდაბა, ტბა) მოიარა.

საქართველოს სხვა კუთხების მსგავსად, მუსიკალური სურათი ბორჯომის რაიონშიც არ თუ ისე სახარბიელოა. სოფლად მომღერლებს იშვიათად თუ შეხვდებით, მით უფრო ჭირს ტრადიციული რეპერტუარის ჩატარა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ შეკრებილი მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია, სამწუხაროდ, ტრადიციული უანგების ხევდრითი წილი ძალიან მცირეა, ფაქტობრივად, ვერ მოხერხდა სამხმიანი, ტრადიციული სიმღერების დაფიქსირება; ძირითად მასალას საავტორო, საბჭოთა პერიოდისა და თანამედროვე სიმღერები, ქალაქური ფოლკლორის აღმოსავლური შტო – ბაიათური ტიპის სიმღერები და საკრავიერი ნიმუშები შეადგენს.



თამარ მოღებაძე

ტრადიციული ნიმუშებიდან ბორჯომის ხეობაში უკელაზე კარგად სააღდგომორიტუალის თანმხლები სიმღერა „ჭონა“ ახსოვთ. როგორც ჩანს, ქართლის რეგიონთან სიახლოების გამო, ჭონაზე სიარულის ტრადიციას ამ ხეობაშიც მისდევდნენ. იგი დღემდე ცოცხლობს სოფელ ახალდაბაში: აქ ჭონაზე ორი ჯგუფი – მამაკაცები და ბავშვები ცალ-ცალკე დადიან. საგულისხმოა, რომ ამ

სოფლის მკვიდრმა მამაკაცებმა სიმღერა აკორდეონის თანხლებით შეასრულეს. საკრავი ამ შემთხვევაში გაბმული ბანის ფუნქციას ასრულებდა. როგორც ჩანს, შესრულების ამგვარი, „უცნაური“ ფორმა, ხმებში კოორდინაციის მოთხოვნილებით იყო გამოწვეული.

ტრადიციული განრებიდან ჩვენი უკრადღება ამინდის მართვის სიმღერებმაც მიიჭიდა: სერგი მაკალათიას ცნობით, გვალვის დროს „ლაზარეს“ აწყობდნენ, გუთანს მდინარის წყალში გააცურებდნენ და ზეცას წვიმას შესთხოვდნენ; თუმცა, წვიმა რომ სეტყვითა და ჰექა-ჰეხილით არ მოსულიყო, ელიას ციკანს უკლავდნენ. ჩვენს ინფორმატორებს „ლაზარეს“ მოტივის გახსენება გაუჭირდათ, თუმცა ავდრის დროს ელიასადმი მიმართვის რიტუალის არსებობა დაგვიდასტურეს.



გახტანგ გელაშვილი

რამდენიმე სიტყვით შევეხები ქალთა რეპერტუარსაც. ჩვენი რესპოდენტების უმეტესობა ძირითადად სწორედ ქალები იყვნენ. მათგან ბავშვის დასაძინებელი „ნანას“ რამდენიმე ნიმუში და შელოცვები ჩავწერთ. ნანას ერთ-ერთი ვარიანტი „მზე შინას“ ჰანგზე იყო აგებული. მსგავსი ფაქტები საქართველოს სხვა ქუთხებშიც დასტურდება (დ. არაყიშვილის მიერ სამეცნიეროში ჩაწერილი საზოგადო „მზე შინაოც“ დასაძინებელი ფუნქციით არის შესრულებული). რაც შევეხება ბატონებისადმი მიძღვნილ სპეციალურ სიმღერას, ამგვარი ნიმუშის გახსენება ბორჯომის ხეობის მკვიდრთ გაუჭირდათ.

არ არის გამორიცხული, რომ ქალაქური ფოლკლორის აღმოსავლური შეოს გავრცელება ბორჯომის რაიონში სწორედ არაქართული მოსახლეობის სიჭარბით იყოს

გამოწვეული. ჩვენმა ექსპედიციამ ჩაწერა რამდენიმე ბაიათი და დუდუკზე დასაკრავები. დუდუკის ტრადიციული რეპერტუარის გარდა („დილის საარი“, „იჯაზი“, ბორჯომში ამ საკრავზე „წაღვერი და თბილისიც“ შეგვისრულეს).

საყურადღებოა, რომ დუდუკზე შემსრულებელი, 76 წლის ვახტანგ გელაშვილი ბავშვობაში მწყემსი ყოფილა. მან რამდენიმე საინტერესო დასაკრავი სალამურზეც შეგვისრულა, მაგალითად „ძროხების დასაყრელი“, შორს წასული ძროხების შემოსაკრები და ა. შ.

საკრავიერ მუსიკაზე საუბრისას გვრდს ვერ ავუვლით ფანდურს, რომელიც, საქართველოს სხვა ქუთხეთა მსგავსად, ამ ხეობაშიც ყველაზე პოპულარული საკრავია. ბორჯომის რაიონში ფანდურზე შემსრულებელი რამდენიმე ქალბატონი ჩავწერთ; ამ საკრავზე ბორჯომის ხეობის სოფლებში შაირების ტიპის სიმღერებს ან შედარებით გვიანდელ პერიოდში შექმნილ ნიმუშებს მღერიან.

ბუნებრივია, მცირე მასშტაბის სტატიის ფარგლებში მთელ საექსპედიციო მასალას ვერ მიმოვისილავ. ამ ეტაზზე ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იმ ნიმუშებზე უკადღების გამახვილება იყო, რომლებიც ადგილობრივი მუსიკალური თავისებურებებით ხასიათდება და უშუალოდ ბორჯომის ხეობის კუთვნილებად შეიძლება ჩაითვალოს. მსგავსი ტიპის ტრადიციული რეპერტუარის მოქებნა საკმაოდ გაჭირდა. მით უფრო, რომ ინფორმატორთა უმეტესობა ქართლებულები, მესხები ან იმერლები იყვნენ. უშუალოდ ბორჯომის ხეობისათვის დამახასიათებელ ნიმუშებად შეგვიძლია ჩავთვალოთ საბჭოთა პერიოდში შექმნილი სიმღერები, რომლებიც ცემს, ბაკურიანსა და ბორჯომს ეძღვნება და ამ რეგიონის საკურორტო თავისებურებებზეა აქცენტირებული. მსგავსი ტიპის სიმღერებს რამდენიმე სოფელში შევხვდით. საბჭოთა პერიოდში ეს ნიმუშები საქმარ პოპულარობით სარგებლობდა და ინფორმატორთა ცნობითაც, დათვალიერება-ფესტივალებსა თუ ოლიმპიადებზე მათ ხშირად ასრულებდნენ.

ამგვარად, სამწუხაროდ, მეტად რთულია ბორჯომის ხეობის მუსიკალური ფოლკლორის ლოკალურ თავისებურებებზე თუ დიალექტური კუთვნილების საკითხებზე მსჯელობა.

სოფიკო კოტრიკაძე  
იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დოქტორანტი

# ҃ცხოური მრავალხმიანობა

## მონდოლური ფოკლორი

მონდოლურ მუსიკალურ კულტურას უქვედესი ტრადიციები აქვს, რომლის მატარებლები იყვნენ: ხურჩები (საქრავ ხურ-ზე შემსრულებლები), ულიგერჩები (მთხოვბელი-რაფსოდები), ღუჟები (მომდერალი-სოლისტები) და ხოგჟიმჩები (მუსიკოსი-ინსტრუმენტალისტები).

ტრადიციულ მონდოლურ მუსიკას პეტატონიკა უდევს საფუძვლად. იგი ძირითადად ვოკალურია ინსტრუმენტული თანხლებით. ცნობილია სხვადასხვაგარი ვოკალური სტილი, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და დღემდება შემონახული, მიუხედავად იმისა, რომ მონდოლურმა მუსიკამ არა ერთი ტომისა თუ ერის მუსიკის გავლენა განიცადა.

მონდოლურ მუსიკაში ორ ჯანრს გამოყოფენ: ტუული (ეპიკური სიმღერის ჯანრი) და ორდინ ღუჟ (ფოლკლორული მუსიკის ჯანრი).



მონდოლი მომლერლები

მონდოლური მუსიკისთვის მდერადი, გაბმული, ფართო სუნთქვის ვოკალური მელოდიებია დამახასიათებელი. სიმღერების უმეტესობა სახოტბოა. მონდოლები ხოტბას ასხამენ მშობლიურ მხარეს, საყვარელ ცხენს, თუმცა მდერიან ლირიულ-სატრფილო, მგზავრულ, მწყემსურ სიმღერებსაც. მათ შორის, ზოგი ნელი და „გაწელილია“ (ურტინ-ღუჟ), დიდი დიაპაზონითა და მდიდარი ორნამენტიკით, ზოგი კი – „მოკლე“ (ძოგინო-ღუჟ), შედარებით მარტივი რიტმითა და ფორმით.

ურტინ-ღუჟ მონდოლთა უქვედესი კულტურის ერთ-ერთი განძია. მას მამაკაცები ასრულებენ, რომელთა ხმის დიაპაზონი 3 თქმაგაა (ფალცეცის ჩათვლით). ყველაზე

შთამბეჭდავი ურტინ-ღუჟ-ში ორნამენტულ-მელიზმატური პასაჟებია. მათი სიუხვე ფართოდ გაშლილ, რიტმულად თავისუფალ მელოდიურ გამომსახველობას განაპირობებს. რაც უფრო ვრცელია ვოკალის პარტია, მით უფრო „ჩახლართულია“ ორნამენტები და მით მეტია მსმენელის ოვაციები. სიმღერა მთელი ხმით სრულდება, სუნთქვა ისე უნდა აიღოს შემსრულებელმა, რომ მუსიკის ერთიანობის ეფექტი არ დაირღვეს.

ძოგინო-ღუჟ. მრავალწლიანი მომთაბარე ცხოვრების მანძილზე მონდოლები მესაქონლეობას ეწეოდნენ და შეიმუშავეს შინაურ ცხოველებთან „მორიგების“ ხერხები. ასე, მაგალითად, ისინი წარმოთქვამენ, უფრო სწორად კი, მდერიან გარკვეულ მელოდიებს იმისათვის, რომ დედალ ცხოველებს გაუდვივონ შვილებზე ზრუნვის უნარი. ამასთან სხვადასხვა ცხოველს სხვადასხვა მელოდიით მიმართავთ: ცხვარს „ტოიგ“-ით, თხას – „ჩრიოგ“-ით, აქლემს – „ხოოხ“-ით. დროთა განმავლობაში ეს მიმართვები პოემებად და სიმღერებად იქცა. სწორედ ამგვარი სიმღერად ძოგინო-ღუჟ.

ურტინ-ღუჟ და ძოგინო-ღუჟ ხალხური საკრავების თანხლებით სრულდება. მონდოლებს აქვთ სიმებიანი, დასარტყეამი და ჩასაბერი საკრავები. სიმებიანი საკრავებია: მორინხური, ხური და შანხა, დასარტყეამი: იორჩინა, დოლი და ცანი; ჩასაბერი: ლიმბე და სხვადასხვა დანიშნულებისა და სახის სავჭირები. ამ საკრავთა უმრავლესობას ხმამაღალი ედერადობა აქვს, რასაც მონდოლური ლეგენდებისა და თქმულებების მიხედვით, თავდასხმითი ნადირობისა თუ საქოლის შეკრებისათვის დიდი მნიშვნელობა პქონდა.

ყველაზე პოპულარული მონდოლური საკრავია სიმებიანი მორინხური. ლეგენდის თანახმად, ეს საკრავი შექმნილია მფრინავი ცხენის ფაფარისა და კუდისაგან, რომელიც გაფრენის დროს მომაჯადოებელ ხმებს გამოსცემდა.

## ყელისმიერი მდერა

მონდოლებს აქვთ თავისებური, მეტად ორიგინალური სასიმღერო სტილი – ხომი, რომელსაც ყელისმიერ მდერასაც უწოდებენ. ეს არის უნიკალური ვოკალური სტილი, რომლის დროსაც ერთი ადამიანის მიერ ორი ხმა გამოიცემა: მელოდია მოძრაობს პირის დრუს ფორმის ცვლილების შესაბამისად. ამის პარალელურად კი ყელიდან სახმო იოგების დაჭიმვის შედევად, ამოდის ერთი გაბმული ბგერა, რომელიც საყრდენს,

ერთგვარ ბანს ქმნის. მელოდიის ხაზგასას-  
მელად მხოლოდ ხმოვნებს წარმოსთქმაშენ.



„ყელისმიერი“ მომღერალი

არსებობს ხორმის შესრულების რამ-  
დენიმე ტექნიკური ხერხი, რომლებშიც ჩარ-  
თულია ცხვირი, ყელი, მკერდი ან მუცელი.  
ხორმი სრულდება მამაკაცთა მიერ, რადგან  
დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს, თუმ-  
ცა, მისი შესრულება არც ქალებს ეკრძალე-  
ბათ.

ამბობენ, რომ ხორმი ისეთივე ძველია,  
როგორც თვით ბუნება. ის მაშინ გაჩნდა,  
როცა ადამიანმა წყაროს ჩუხხუხისა და მთე-  
ბის ექოს იმიტირება დაიწყო. ხორმი მონდო-  
ლეთის დასავლეთშია გავრცელებული, თუ-  
მცა სიმღერის ეს სტილი ცენტრალური აზი-  
ოს სხვა ხალხებშიც გვხვდება, კერძოდ, ალ-  
ტაის მთების, ბაშკირებისა და ურალის ეთ-  
ნიკურ ჯგუფებში.

**მაკა ხარძიანი**  
**ტბების სპეციალისტი**

**ქართული კულტურისა და  
მუცნიერების კერძი**

**საქართველოს ხალხური და  
გამოყენებითი  
ხელოვნების სახელმწიფო  
მუზეუმი**

საქართველოს ხალხური და გამოყე-  
ნებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი  
ერთ-ერთი უძველესია საქართველოში, რომ-  
ლის ფონდებში სრულიად გამორჩეული და  
განსაკუთრებული ტიპის კოლექციებია და-  
ცული. ქართული ხალხური და პროფესიონა-  
ლი მხატვრების დეკორატიულ-გამოყენებითი  
ხელოვნების ნიმუშების გვერდით აქ ინახება  
ნაივი მხატვრების 300-მდე ფერწერული ნა-  
მუშვევარიც, თუმცა მისი უნიკალურობა, პირ-  
ველ რიგში, მდიდარ საარქივო მასალაშია.  
აქ დაცულია ალბომებად შეცრული და და-  
ხარისხებული ძვირფასი ფოტომასალა, მინის  
ნეგატივები, რომლებიც კავკასიის კუსტა-  
რული კომიტეტის მუშაობის მასალებს ასა-  
ხავს და რომელთა ნაწილიც ცნობილ ფო-  
ტოგრაფებს – ერმაკოვსა და როინაშვილის  
ეკუთვნის. მუზეუმი სწორედ ამ კომიტეტის  
ბაზაზე შეიქმნა.



მუზეუმის ძველი შენობა

1899 წელს რუსეთის იმპერიის სოფლ-  
ის მეურნეობის სამინისტრო ობილისში  
აარსებს კავკასიის კუსტარულ კომიტეტს.  
კომიტეტის ფუნქცია იყო ხალხური რეწვის  
არსებული კერების აღრიცხვა და შესწავლა  
მთელი კავკასიის მასშტაბით; ასევე ხალ-  
ხური თეტატებისა და ტრადიციული რეწვის  
კერების დაცვა მოზღვავებული თანამდროვე  
სტანდარტული მასობრივი ტენდენცი-  
ებისაგან. ორგანიზაცია XIX ს.-ის II ნახევ-  
რიდან ეკროპაში ძალზე პოპულარული მოძ-  
რაობის, arts and crafts -ის მხატვრულ იდეა-  
ლებს იზიარებდა, რომლის ფუძემდებლების

— უილიამ მორისისა და ჯონ რასკის იდე-  
ების თანახმად, ახალი მხატვრული ფორ-  
მებისა და იდეების შთაგონების წყარო კლა-  
სიკური და ტრადიციული ხალხური ხელოვ-  
ნება იყო.

კომიტეტის მიერ შეგროვილი ხელო-  
ვნების ნიმუშების ბაზაზე 1913 წელს მუშ-  
ტაიდის ბაღის ტერიტორიაზე, სპეციალურად  
აგებულ შენობაში, გაიხსნა ხალხური და  
გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი.

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ  
(1921 წლის ოქტომბერი) კავკასიის კუსტა-  
რული კომიტეტისა და მუზეუმის აქტივობები  
მხოლოდ საქართველოთი შემოიფარგლა.  
1922 წელს დამოუკიდებელი საქართველოს  
ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ კომიტეტი  
და მუზეუმი დატოვა მთავარმა მხატვარმა,  
ყველა მისი პროექტის სულისხამდგმელმა,  
იული სტრაუმემ. ამას მთელი რიგი სირთუ-  
ლეები მოჰყვა, თუმცა კომიტეტის გუნდი პპ-  
ლავ ცდილობდა თავისი საქმიანობის გაგრ-  
ძელებას სხვადასხვა მიმართულებით, როგო-  
რიცაა დიზაინი, ხალხური რეწვა, მუზეუმი-  
სთვის ნიმუშების შეგროვება. ბოლშევიკურ  
მთავრობასთან, მრავალი წლის ფინანსური  
თუ პოლიტიკური სირთულეების გამო კომი-  
ტეტის პრაქტიკული და თეორიული მიმარ-  
თულებები ერთმანეთს დაშორდა, მხატვ-  
რებმა დაკარგეს კავშირი ოსტატებთან, სახე-  
ლმწიფო შეწყვიტა ლაბორატორიებისა და  
სახელოსნოების მხარდაჭერა. თუმცა, მრავა-  
ლწლიანი სირთულეების შემდეგ (კოლექცი-  
ების ნაწილის დაკარგვა, შენობების მუდმივი  
ცვლა, უსახსრობა და სხვ.), მუზეუმმა საბო-  
ლოოდ მაინც მოახერხა თავისი ინსტიტუცი-  
ონალური დამოუკიდებლობისა და, რაც მთა-  
ვარია, კოლექციების შენარჩუნება.

დღეს მუზეუმი ახალი გამოწვევების  
წინაშე დგას. მისი მისიაა კვლავ დაიმკვიდ-  
როს საგანმანათლებლო ფუნქცია დეკორა-  
ტიულ-გამოყენებით და ხალხურ ხელოვნება-  
ში, აღიდგინოს ის ადგილი თანამედროვე  
ქართულ საზოგადოებაში, რისთვისაც თავდ-  
აპირველად შეიქმნა.

ამისათვის ხალხური და გამოყენები-  
თი ხელოვნების მუზეუმი სშირად აწყობს  
გამოვენებს, აქვს მუდმივი საექსპოზიციო  
დარბაზი; აქ ფუნქციონირებს იული სტრაუ-  
მეს სახელობის ბიბლიოთეკაც, სადაც ნე-  
ბისმიერ დაინტერესებულ პირს, სტუდენტს  
თუ მკვლევარს საშუალება აქვს მუზეუმის  
სივრცეში გაეცნოს და შეისწავლოს კავა-  
სის კუსტარული კომიტეტის მიერ დატოვე-  
ბული უნიკალური არქივი.

საქართველოში პირველად, ნებისმიერ  
სტუმარს შეუძლია ოთხშაბათს, საღამოს

18:30 წთ-ზე დაესწროს და გახდეს „ლურჯი  
სუფრის“ წევრი — მოისმინოს ლექციათა ცო-  
კლი „საუბრები ლურჯ სუფრასთან“.



საუბრები „ლურჯ სუფრასთან“

მუზეუმში ფუნქციონირებს საგანმანა-  
თლებლო პროგრამების დეპარტამენტი, რო-  
მელიც ბავშვებს/მოსწავლეებს (ბაღის ასაკი-  
დან) სთაგაზობს საგანმანათლებლო პროგ-  
რამებს: შვიდი საგანმანათლებლო პროგრა-  
მა, წლიური აბონემენტი და ექსკურსია, ღია  
გაკვეთილები, ინდივიდუალური და საოჯახო  
პროგრამები.



საგანმანათლებლო პროგრამა

და ბოლოს, მუზეუმს აქვს საჩაიე „მუ-  
შტაიდი“, სადაც შეგიძლიათ დააგემოვნოთ  
მხოლოდ ქართული ხუგბარი, უგემრიელესი  
ქართული ჩაი და შეიძინოთ საუკეთესო მხა-  
ტვრებისა და დიზაინერების ნამუშევრები.

ამგვარად, ხალხური და გამოყენებითი  
ხელოვნების მუზეუმის კოლექციები და საა-

რქივო მასალა, შესაძლებელია, გახდეს ახალი შთაგონების წყარო როგორც ხალხური, ასევე პროფესიონალი მხატვრებისა და სტუდენტებისთვის. მუდმივი და დროებითი გამოფენების, ლექციების, მასტერკლასების, შეხვედრებისა და სიმპოზიუმების მეშვეობით მუზეუმი დაეხმარება თანამედროვე ქართულ საზოგადოებას გაიაზროს თავისი წარსული, ფესვები, ტრადიციები და იდენტობა, და, ამავე დროს, გაეცნოს თანამედროვე, უახლეს მხატვრულ ტენდენციებს დეკორატიულ-გამოყენებით და ხალხურ ხელოვნებაში.

ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი გადაიქცევა ცოცხალ, თანამედროვე საგანმანათლებლო და ესთეტიური ტკბობის კერად, ისეთ მუზეუმად, რომელზე მოთხოვნილებაც თანამედროვე საზოგადოებაში ძალზე დიდია.

### **ნინო ქოვზიაშვილი მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროხი**

**უძველესი ქართული ხალხური  
საკრავები**

### **ბუკი**

ხალხურ საკრავთა მუზეუმის ქართულ კოლექციაში დაცულია რამდენიმე ისეთი ინსტრუმენტი, რომელსაც დღეს დაკარგული აქვს სოციალური ფუნქცია და ბუნებრივია, ყოფაშიც აღარ გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი საკრავია ბუკი.

ქართველთა მიერ საკრავების დამზადების ტექნოლოგიის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ჩვენი წინაპრები ძალიან ფრთხილად არჩევდნენ მუსიკალური საკრავისთვის მასალას და ძირითადად ბუნებრივს ანიჭებდნენ უპირატესობას. ამიტომაც, განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს ლითონის საკრავის არსებობა.

მუსიკალურ საკრავებს, როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ: 1. შებანების (სათანხლებო); 2. სამგურნალო; 3. სანადირო და საბრძოლო; 4. საკრალური (სარიტუალო); 5. სალხინო; 6. სამგლოვიარო; 7. სასიგნალო...

სულხან-საბა თრბელიანის განმარტებით, ბუკი დიდი საყვირია. რადგან საკრავი ყოფაში დღესდღეობით აღარ არსებობს, ამიტომ მის შესახებ გამოკვლევა ძირითადად, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ხდება.

საყვირები სამეცნიერო ლიტერატურაში ენიან-ჩასაბერთა ქვეჯგუფს მიეკუთვნება.



**ბუკი**

მე-7 საუკუნიდან ტერმინები – საყვირიცა და ბუკიც ხშირად მოიხსენიება ძველ ქართულ ძეგლებში. ოუმცალა, საკრავის შექმნის ისტორია გაცილებით ადრეულია.

ცნობები ბუკის, იგივე საყვირის შესახებ მრავლად გვხვდება ბიბლიაში (ძველი და ახალი აღთქმა), ეგვიპტურ და ძველი იუდეურ წყაროებში, ბერძნულ მითოლოგიაში. ისტორიული მონაცემებით დგინდება საყვირის ხნოვანება – იგი დაახლ. 3 600 წლისაა.

საყვირი საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თითქმის ყველა ერის ტრადიციულ ყოფაში. იგი ძირითადად სასიგნალო-სანიშნო ფუნქციას ასრულებდა; გამოიყენებოდა მნიშვნელოვანი მოვლენების საუწყებლად: ბრძოლისას – ომის წინ და გამარჯვების შემდეგ, განგაშის ასატეხად, რაინდოთა შერკინებისას, ლაშქრის აყრისას, მეფედ კურთხევისას, სასიხარულო ამბის შეტყობინებისას, ნადირობისა და ნადიმობისას, საპატიო სტუმრების მიღებისას...



სვანური საყვირი – „სანკური“

საქართველოში უცხოური ლიტერატურის თარგმნასთან ერთად, „ბუკის“ რამდენიმე სახელწოდება ერთდროულად ჩნდება.

ი. ჯავახიშვილი არსებულ წერილობით ძეგლებზე დაყრდნობით ასკვნის: „საყვირი ბერძნულ salpinqs-ს, ხოლო ლათინურ buccina-ს ან tuba-სა და სომხურ ფოლს უდრის“ (ჯავახიშვილი, 1938: 177).

შესაძლოა ტერმინი ბუკი სწორედ ლათინური buccina-ს ტერმინოლოგიური შეამობავალი იყოს. თუ შევადარებოთ მათ აღწერილობასაც, დაგრმუნდებით, რომ სხვადასხვა ერში მსგავს ან სხვადასხვა სახელით გავრცელებულ იდენტურ საკრავებთან გვაქვს საქმე.

რაც შეეხება ტერმინს „საყვირი“, მანანა შილაგაძე ნაშრომში „ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი“, მას ქართულად მოიხსენიებს: „სახელწოდება ბუკის შესატყვისებია სვანური „სანკურ“, მეგრული „ოყე“ ან „ოყელია“, ქართლური „ლოროტოტო“ აფხაზური „აბიკ“, ოსური „ფიდიუაგ“ ან „ფიდიოგ“.“

ჯავახიშვილის ცნობით, ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე წეაროს სხვადასხვა რედაქციაში საკრავი განსხვავებული სახელით მოიხსენიება. მაგ: ბიბლიის ოშკისა და მცხეთის რედაქციებში საყვირის ნაცვლად ნებტვია ნახმარი. მოხმობილი მა-

გალითის მიხედვით, ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, ეს ორი ტერმინი სინონიმები ყოფილიყო. თუმცა, მოგვიანებით, მათ სრულ იდენტობას გამორიცხავს და ნებტვის ჩასაბერ საკრავთა ზოგად სახელწოდებად მიიჩნევს.

ცნობილი ქართველი მკვლევარი, ოთარ ჩიჯავაძე ნაშრომში „საკრავები ძველ საქართველოში“, ძველ ქართულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, ნებტვისაც და საყვირსაც ჩასაბერ საკრავთა ზოგად ტერმინად მიიჩნევს. მისი ვარაუდით, ნებტვი კიდევ უფრო ზოგადი სახელწოდება და ორი სახეობის საკრავთა ჯგუფს – საყვირებსა და სასტვინლებს მოიცავს.

დიმიტრი არაყიშვილი ნაშრომში „ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა“, სამი სხვადასხვა ზომის საყვირის აღწერისას, საკრავის სახელად სამივეჯერ საყვირს მოიხსენიებს. ხოლო მის სვანურ შესატყვისად „სანკურს“ ასახელებს. (დ. არაყიშვილი, 1940:24).

მოხმობილი ცნობებით ირკვევა, რომ ორივე სახელი – სანკური და სანკური საყვირის ფონეტიკურ-კუთხური სახესხვაობებია. აქედან გამომდინარე, თუ ტერმინი „საყვირი“ სანიშნო-სასიგნალოთა ჯგუფში შემაგლ „მზანებელ“ საკრავთა ზოგადი სახელი იყო, მოხმობილი წყაროებით მოწმობს მისი დამოუკიდებლად არსებობის უტყუარობასაც, გარკვეულ პერიოდში მაინც.

გარდა განხილული ტერმინებისა, ძველ ნათარგმნ თუ ორიგინალურ ქართულ ლიტერატურაში საკრავის სხვა სახელებსაც ვხვდებით: ზროხაკუდი, სპილენძჭური, სპერმური, ქარანა (ან ქანარა), იობელისნი...

ბიბლიის თარგმანთა მიხედვით, კაენის შთამომავალ იუბალისგან წამოვიდა ყველა მექნარე და მესტვირე. ამავე წყაროზე დაყრდნობით, იობელისნი რქისაგან ყოფილა დამზადებული: „შვიდთა მდდელთა აღიხუნენ შვიდი ნებტვი იობელისნი წინაშე კიდობნისა მის: და დღესა მეშვიდესა მოადგით ქალაქესა მას შვიდ გზის, და მდდელთა მათ დაპბერონ ნებტვისა მას რქისასა“ (ბიბლიია, ძვ. აღთქმა „დაბადება“). ამ ორი ციტატის მიხედვით, ვფიქრობ, „ნებტვი იობელისნი“ იუბალისეულ ჩასაბერ საკრავებს უნდა აღნიშნავდეს. ბიბლიაში აღწერილ ინსტრუმენტებს, ტრადიციულად, ამზადებდნენ ძვირფასი ხისაგან, ცხოველის დაჭიმული ტყავისაგან, ლითონისა და ძვლისაგან, სიმებს კი – მცენარეული ბოჭკოსაგან ან ცხოველის ნაწლავებისაგან.

ლითონისაგან დამზადებული სანიშნო-სასიგნალო საკრავების ძირითადი აგებუ-

ლება ასეთი იყო: სპილენძის გრძელი მიღი, ბოლოში ზარის ფორმით. საქართველოში ყველა მეფე-მთავარს თავისი საყვირი ჰქონია. როგორც ირკვევა, ზარის ფორმის საყვირს, გარდა სამაუწყებლო-სასიგნალო ფუნქციისა, სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა. საქართველოში ყველა მეფე-მთავარს თავისი საყვირი ზარი ჰქონია. საფიქრებელია, რომ სხვადასხვა მთავრის „ზარი“ ერთმანეთისგან ტემბრულად განსხვავებული უნდა ყოფილიყო. სხვაცნობით, საყვირი, ანუ ბუკი, მეფის ოფიციალური მსვლელობის ნიშანი იყო და იგი სამეფო ხელისუფლების ნიშანდ მოიაზრებოდა.

საყვირის ზომა, ისევე როგორც მისი მასალა, განმსაზღვრელი იყო ბერის სიძლიერისა და ტემბრისა. როგორც ლითონის, ასევე რქისგან დამზადებული სასიგნალო ისტრუმენტები, სხვადასხვა სიგრძისანი იყვნენ. ამასევ ადასტურებს ს. საბას „ლექსიკონი ქართულიც“. მისი განმარტებით ზროხაგუდი და ყვიროსტვირი მომცრო საყვირებია, ხოლო ბუკი – დიდი. დიმიტრი არაყიშვილის ნაშრომშიც „ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა“, საკრავთა სამი განსხვავებული ზომაა მოცემული.

ქრისტიანული ეპოქის საქართველოში, წალენჯიხის ჯვრცმის კარედულ ხაზზე, მარცხენა მხარეს საყვირის მცემელი ანგელოზია გამოსახული; სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზე 148–150-ე ფსალმუნთა თემაზე შექმნილი კომპოზიციაში „ყოველი სული აქებდით უფალსა“, ანგელოზები საყვირებითა და სხვა საკრავებითა არიან გამოსახული.



ანგელოზები საყვირებით

როგორც უმავ ავდნიშნეთ, ბუკი-საყვირი საქმაოდ პოპულარული და აქტუალური იყო ქრისტიანობამდევ. თუმცა, როგორ გამოიყურებოდა ამ ეპოქის საკრავები ძვე-

ლად, უცნობია, რადგან არ არსებობს შესაბამისი არქეოლოგიური მასალა. მათზე მსჯელობა მხოლოდ მხატვართა წარმოსახვითი ინტერპრეტაციებით შეგვიძლია.

როგოლია ამ საკრავის მუსიკალურ შესაძლებლობებზე მსჯელობა, რადგან ამ კუთხით საკმაოდ მწირი ცნობები მოგვეპოვება. როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, საქართველოში ამ ტიპის საკრავი ბოლო დრომდე მხოლოდ სვანეთში იყო შემონახული. მანანა შილაკაძე საკუთარი საექსპედიციო მასალების საფუძველზე საზგასმით აღნიშნავს, რომ ბუკი იგივე საყვირი, როგორც სასიგნალო საკრავი, მხოლოდ ერთ ბგერას გამოსცემდა და ბგერათა შეზღუდული დიაკაზონის გამო, ძირითადი დატვირთვა მის რიტმულ მხარეზე მოდიოდა. ცნობილია, რომ მოვლენის შესაბამისად შესაძლებელი იყო მადალი, დაბალი, ძლიერი, მოკლე ან ხანგრძლივი კლერადობის მიღება. თუმცა, საფიქრებელია, რომ გადაბერვით საკრავს სხვა სიმაღლის აღების შესაძლებლობაც ჰქონდა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვლისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა ისტორიულ წყაროში დგინდება ბუკი-საყვირის: 1. სიძველე; 2. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელება; 3. ძირითადი, სასიგნალო ფუნქცია; 4. სასახლის კარის ძლიერების სიმბოლური დატვირთვა; 5. მუსიკალური შესაძლებლობების შეზღუდულობა; 6. სხვა ქართული საკრავებისაგან განსხვავებული მასალით – ლითონით დამზადება, რაც, როგორც ჩანს, განპირობებული იყო მისი სოციალური ფუნქციით.

**ეპატერინე შოშიაშვილი  
ქართული ხალხური სიძლერისა და  
საკრავების სახელმწიფო მუზეუმის  
თანამშრომელი**

# ძელი პრესის ფურცლებზე

## ქართული სიმღერა



მელიტონ ბალანჩივაძე

ქართულ ენაში განსაკუთრებული ტერმინები არსებობს მუსიკისა და სხვადასხვა დარგისათვის. საერთ მუსიკისათვის იხმარება სიტყვა „სიმღერა“, ხოლო საეკლესიო – სასულიეროსათვის – „გალობა“.

თანამედროვე ავტორებს ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისაგან ეს ორი განსაკუთრებული ცნება და ერთის მაგივრად მეორეს ხმარობენ, მაშინ, როცა არც თანამედროვე მცოდნე პირები და არც ძველი ქართველი ავტორები არ სჩადიან ასეთ შეცდომას და თითოეულ ამ სიტყვათაგანს მის განსაზღვრულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

სამწუხაროდ, ქართულ საისტორიო წაროებში არ მოიპოვება ცნობები ქართული ეროვნული სიმღერის ჩასახვის, მისი თანდათანობითი განვითარების, ზეგავლენებისა და ცვლილებების შესახებ, რომელიც მან განიცადა მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე. როგორც თანამედროვე მდგომარეობიდან ჩანს, მან განვლო დიდი გზა, შეინარჩუნა თვითმყოფადი თავისებურებები, როგორც მუსიკალური გამომსახველობის, ისე კოლორიტისა და სტილის თვალსაზრისით.

ძველ ქართულ ძეგლებში მოიპოვება ნოტების გამომსახველი მრავალი ნიშანი, რომელთაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. მათი არსებობა უდაოდ მოწმობს ქართველთა მუსიკალური აზროვნების განვითარების მაღალ საფეხურზე.

გარდა პირველყოფილი ნოტაციის ნიშნებისა, ქართული სიმღერისა და გალობის მაღალგანვითარებულობაზე დაღადებს ის მრავალი ტერმინი, რომელიც ხმების სიმაღ-

ლეს აღნიშნავს. მაგალითად: პორველ ხმას ეწოდება „დამწერი“, მეორეს „მოძახილი“, შემდეგ – „მაღალი ბანი“, „ბანი“, „დვრინი“ (დაბალი ბანი), „გამჟივანი“ (როდესაც მისი შემსრულებელი ერთს, უმაღლეს საფეხურზე შეაჩერებს ხმას) და „კრიმანჭული“ (არსებობს კრიმანჭულის საგანგებო შემსრულებელი, რომელსაც „მოკრიმანჭულე“ ეწოდება).

საქართველოს ულამაზესი ბუნების შთამბეჭდავი სილამაზე მისი კუთხეების მუსიკალური გამომსახველობის მრავალფეროვნებაშიც აღიბეჭდა. მაგალითად, გურიაში, მუსიკალურად ამ კველაზე მდიდარმა კუთხემ, თავის სიმღერებს გმირული და, ამასთანავე, ლირიკული ხასიათი მისცა, სამეგრელომ – კლასიკური ქალური სილამაზე და სინაზე, ქართლმა და კახეთმა – სიღინჯე და გრძნობათა ფილოსოფიური სიღრმე, სვანეთმა და ფშავებებს ურეომა ცოცხლად შემოგვინახეს ქრისტიანობამდელი წარსულის ცოცხალი ამოძახილი.

ქართული მუსიკის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მუსიკა იყო თანამდევი ქართველთა ყოველგვარი ცხოვრებისეული სიტუაციისა: როცა ქალი დედობისთვის ემზადებოდა, მისი მეგობარი ქალების გუნდი, ტრადიციის თანახმად, ასრულებდა სიმღერა-ჰიმნს მზის სადიდებლად, რომელიც ნაყოფიერების ღვთაებას განასახიერებდა (იგულისხმება სიმღერა „მზე შინა“-რედ); ჯერ კიდევ აკანში, პატარა ქართველს დედა ია-ვარდით მოფენილ გზას უწინასწარმეტყველებდა. ხნისა თუ თესვის, მკისა თუ თიბის, ლაშქრობის თუ ქორწილის, ავადმყოფობისა თუ გლოვის ღროსაც ქართველი სიმღერაში გამოხატავდა თავის სულიერ მდგომარეობას.

ქართველს არ სწამდა „უხმაურო“ ცეკვა, ამიტომ მას სიმღერას აყოლებდა. ეს ორი დარგი ხელოვნებისა განუყრელად იყო შენათესავებული და ამით აიხსნება ის რიტმულობა და პლასტიკურობა, რომელიც ასე ახასიათებს ქართულ საცეკვაო სიმღერას.

საყურადღებოა ის მოვლენაც, რომ ქართველები სიმღერას სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ და წამალზე უპირატესად თვლიდნენ.

ბოლო ხანებში ქართულმა მუსიკამ უცხოელების ყურადღება მიიპყრო. კომპოზიტორთა შორის, რომელთაც ისარგებლეს ქართული სიმღერებით თავისი მუსიკალური ქმნილებებისათვის, საპატიო ადგილზეა ანტონ რუბინშტეინი, „დემონის“ გენიალური ავტორი, რომელმაც შესანიშნავი უნარით ისარგებლა მასალით და ქართული მუსიკის მხატვრული დახასიათებაც ჰემმარიტად გა-

დღოგვცა. იგივე არ ითქმის ჩაიკოვსკიზე, რომელიც თუმცა იმავე წეაროთი სარგებლობდა, მაგრამ მეტად თავისებურად მოვჰყერო მას. მან რთულ ორგუნდოვან და ღრმად ეროვნულ სიმღერას „მზე შინას“ საცეკვაო ხასიათი მისცა და „არაბული ცეკვის“ სახით განათავსა თავის ბალეტ „მაჯნატუნაში“.

ქართული მუსიკა განსაკუთრებით ვოკალურია. ქართული საკრავები თითქმის ფოველთვის სიმღერასთან ერთად გამოიყენება.

უძველესი ფორმა ქართული მუსიკისა არის უნისონით შესრულება. თუმცა, მისი ზედმიწევნით შესწავლა გვარწმუნებს, რომ უნისონური სიმღერის პარმონიულით შეცლა ძველადვე მოხდა. პარმონიულის უმჭველი შენებს ატარებს მრავალი ძველი ქართული სიმღერა.

საეკლესიო მუსიკას – ამ უძველეს ქრისტიანულ ქვემანაში, რომელსაც საკუთარი რელიგიური ცხოვრება ჰქონდა, სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ ტაძრებსა და მონასტრებში, სადაც მას დამცველები და გამარცელებლები ჰყავდა. საერო მუსიკა კი მოკლებული იყო ასეთ ყურადღებას, თავისი ოფიციალური სკოლა არა ჰქონია, თუმცა ის ქართველების მთელ ცხოვრებას მსჯვალავდა. მომღერლები დიდ სიყვარულს იმსახურებდნენ და მუდამ სასურველი სტუმრები იყვნენ.

ქართული მუსიკა ბუნებრივი განვითარების გზაზე, ისტორიული პირობების გამო, უცხო კულტურებისა და მუსიკის ზეგავლენას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, მისი ზრდა-განვითარება არ შეჩერებულა და არც თვითმყოფადი ხასიათი დაუკარგავს.

უკანასკნელ დროს საქართველოში ეპროპული კულტურის შემოტანასთან ერთად, სამწუხაროდ, ამ კულტურის უარყოფითი მხარეც დაღს აჩენს ქართულ საერო მუსიკას. ქართულ სოფლებში ხშირად შევხვდებით იაფფასიანი ოპერეტების სიმღერებს, რომელსაც დისკარმონია შეაქვთ ქართულ ტრადიციულ მუსიკაში.

ქართული მუსიკა შეიძლება საუმეთესო წეაროდ გამოდგეს ქართველ კომპოზიტორთა მხატვრული ქმნილებებისთვის. მისთვის ყურადღების მიქცევა, მუსიკალურ-პედაგოგიური სკოლის კალაპოტში ჩაყვნება, დიდ სამსახურს გაუწევს ხელოვნებას, ახალ სხივს მოჰყენს მსოფლიო მუსიკას და საერთო საგანძურსაც გააძლიერებს. ამ გზით ის მუსიკალური ევროპის ყურადღებასა და სიყვარულსაც დაიმსახურებს.

**მელიტონ ბალანჩივაძე**  
**„რუსული მუსიკალური გაზეთი“, 1899**

ერთი უანრის შესახებ

## ქართული სამგლოვიარო უანრის მუსიკა

გლოვის რიტუალი ყველა ქვეყნის ეთნომუსიკოლოგთა მიერ ერთ-ერთ უძველეს რიტუალადაა აღიარებული. გლოვის გამოხატვის უმთავრესი საშუალება ადამიანის ხმა (თუმცა გარკვეულ კულტურებში ინსტრუმენტით მუსიკაა პრიორიტეტული).

მუსიკა გლოვის რიტუალის განუყოფელი ნაწილია და მას ხმიერების გარდა უამრავი ქმედება ახლავს თან. შესაბამისად, სრული წარმოდგენის შესაქმნელად, აუცილებელია მისი ყველა ელემენტისა და დეტალის გათვალისწინება. საგლოველი უანრის მუსიკა რიტუალური შესრულებისას, ზეპირი ტრადიციის მნიშვნელოვანი მახასიათებლების – სინკრეტიზმის, იმპროვიზაციის, კინეტიკის, განწყობის, სოციალური გარემოს და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით განიხილება. გარდა ამისა, ქართული მუსიკალური ფოლკლორის მრავალდიალებრობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია სხვადასხვა კუთხის სამგლოვიარო მუსიკის ნიმუშებს შორის ლოკალური განსხვავებებიც.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გლოვის რიტუალი სრულდება დაკრძალვის დღეს, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, წლის თავზე, მიცვალებულთა მოხსენიების დღეებში, როგორც სახლში, ისე საფლავზე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალური ტირილები იციან.

საქართველოში გლოვის ნიმუშების შესრულებისას გამოიყოფა ინდივიდუალური და ჯგუფური ტირილები, რომლებიც, თავის მხრივ, მეტად მრავალფეროვანია. ასე, მაგალითად, მრავალგვარია ინდივიდუალური ტირილები, რომლებიც, უმთავრესად, ქალების მიერ სრულდება. ამ მხრივ, საინტერესოა ხალხში გავრცელებული საგლოველი ტრამინოლოგია. სხვადასხვა სახის ნატირალს სახელი სოციალური ფუნქციისა და ტირილის სახეობის გათვალისწინებით ჰქვია. მაგ: „დათვლა ტირილი“ მიცვალებულის დირსებათა ჩამოთვლას გულისხმობს; „ძახილით ტირილი“ – მიცვალებულის სახელის ძახებას; „სულით ტირილის“ დროს, ხალხის რწმენით, მოტირალში დორებით მიცვალებულის სული ჩასახლდება და მის ნება-სურვილს გადასცემს საზოგადოებას; „ხმით ტირილი“ ყველაზე გავრცელებული სახეობაა ინდივიდუალური ტირილისა და მისი მუსიკალური

ჰანგიც ყველაზე მკაფიოა. არსებობს, ასევე „მოტქმით“, „ქვითინით“, „ჩაძახებით“ და მრავალი სხვა სახის ტირილი.

მეტად საინტერესოა მიცვალებულთან გამომშვიდობების რიტუალი ეზოდან გაყვანისას. ამ დროს განსაკუთრებით გამძაფრუბულია მოტირალთა ემოციები და სშირად ერთი მოტირლის დამთავრებამდე მეორე იწყებს ტირილს, მას შეიძლება მესამეც ჩაერთოს და მიიღება მეტად უცნაური პოლიფონია, რომელიც თითქოს ერთმანეთის ხმებს არ ითვალისწინებს, მაგრამ ქვეშეცნეულად მაინც ხდება მოტირლებს შორის კილოგრამივი კორელაცია. ასეთ ტირილს „გაუცნობიერებელი მრავალხმიანობა“ შეიძლება ვუწოდოთ.

ნიშანდობლივია, რომ ინდივიდუალური ტირილი აუცილებლად ჯგუფური ტირილის ნაწილად მოიაზრება. ამის მკაფიო დადასტურებაა მოტირლის ფრაზების ბოლოს გარშემომყოფთა ქვითინი, რაც მუსიკალური ქსოვილის ნაწილიც არის.

ჯგუფურ ნატირლებს ძირითადად „ზარი“ ქვიდა და უმთავრესად მამაკაცების მიერ სრულდება, თუმცა, რაჭაში ზარის გარდა „ზრუნის“ ოქმაც იციან, რომელსაც ხშირად ქალები ამბობენ. აფხაზეთში მამაკაცების ჯგუფურ გლოვას „ზარს“ უწოდებენ. დასავლეთ საქართველოს კუთხეებიდან განსაკუთრებით ცნობილია სვანური, რაჭული, გურული, მეგრული, იმერული „ზარები“. მნიშვნელოვანია, რომ გლოვის რიტუალში „ზარს“ თავისი, მკაცრად განსაზღვრული ადგილი გააჩნია. ამის შესახებ ზუსტ ცნობებს ზაქარია ფალიაშვილი გვაწვდის. მისი ცნობით, სვანეთში „ზარის“ ოქმის ოთხი ეტაპი ყოფილა ცნობილი: მიცვალებულის ოთახში, ეზოში გამოსვენებისას, გზაში – სახლიდან სასაფლაომდე და სამარის კართან სათქმელი. ამასვე ადასტურებს სვანური ფოლკლორის ერთ-ერთი ცნობილი მეცნიერებული კლადიმერ ახობაძეც. მნიშვნელოვანია, რომ სვანეთში „ზარის“ უამრავი ვარიანტია ჩაწერილი, შეიძლება ითქვას, რომ ყველა სოფელს თავისი „ზარი“ აქვს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სვანეთში და სვანებით დასახლებულ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დღემდე შენარჩუნებულია დაკრძალვის დღეს ზარის შესრულების ტრადიცია.

აღმოსავლეთ საქართველოში ჯგუფურად უფრო ქალები ტირიან. მაგალითად, პახეთში ქალების „ზარია“ ცნობილი, ქართლსა და მთიულეთში ქალთა ჯგუფურ შესრულებას „ბანით ტირილი“ ქვიდა.

თუშეთში შემორჩენილია „დალაობის“ რიტუალი, რომელიც მიცვალებულის წლის-თავზე მამაკაცების მიერ უნისონურად სრულდებოდა, რის გამოც იგი ქართულ საგლოველ ნიმუშებს შორის განცალკევებით დგას. სახლის ეზოში გამოიყვანდნენ მიცვალებულის ცხენს, გამოიტანდნენ მის ტანსაცმელს, იარაღს, დააწყობდნენ მიწაზე, შემოარტყამდნენ წრეს და ერთ ხმაში მდეროდნენ „დალას“, რომელშიც იგორებდნენ მიცვალებულს და დალოცვას სთხოვდნენ მის სულს.

ხშირია ინდივიდუალური და ჯგუფური საგლოველი ნიმუშების სინქრონულად შესრულება. ეს უმთავრესად, გამოსვენების დროს ხდება, როცა მამაკაცები ზარს ამბობენ, ქალები კი მოტქმით ტირიან. ამგვარი შესრულებისას იყვეობა ერთგვარი „პოლიფონიური ურთიერთობები“. ეს იმას ნიშნავს, რომ გლოვა ადამიანებს აერთიანებს და სოციუმს ერთ ორგანიზმად კრავს.

ტირილი ხალხური მუსიკის სხვა ჟანრების მსგავსად, სინკრეტულია: მასში შერწყმულია მუსიკალური ჰანგი, ვერბალური ტექსტი და გარკვეული ქმედება, სხეულის მოძრაობები, რომლებიც მელოდიასთანაა კავშირში: ხელის მომრაობა, სხეულის რწევა, სიარულისას ფეხის ბრახუნი და სხვა. ეს მოძრაობები ფსიქო-სომატურია. გარდა ამისა, გლოვის ნიმუშებს, შესრულებისას, იმპროვიზაციულობა ახასიათებს, რაც სინკრეტული შესრულებისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. მათში ტრადიციულად და სოციალურად ვერბალური ტექსტი იმპროვიზაციულია, რადგან ყოველ ნატირალში ის უნდა შეიცვალოს. საყურადღებოა საგლოველ ნიმუშებში ვერბალური ტექსტისა და მუსიკის ურთიერთმიმართულება: რაკი საქმე გვაქვს სიტყვის მოგონებასთან, მის მელოდიაზე გაწყობასა და იმავდროულად შესრულებასთან, ნატირალთა ინტონაციურ და მეტრო-რიტმულ მხარეს სამეტყველო დიალექტის მახვილები და ინტონაცები განაპირობებს, რაც იმპროვიზაციისა და სინკრეტიზმის ერთდროულად არსებობას მიუთითებს ტირილის ჟანრში.

განსაკუთრებულად საყურადღებოა ინდივიდუალურ და ჯგუფურ ნიმუშებში ინტონაციური ფორმულების არსებობა ყველა კუთხის საგლოველ მუსიკაში, რომელიც ბრუნვის შეგრძნებას ბადებენ, ამიტომაც მათ „მბრუნავი ფორმულები“ შეიძლება ეწოდოს. მათ დიდი როლი ეკისრებათ მუსიკალური ქსოვილის შექმნისას და მელოდიის მიმართულების განსაზღვრისას.

ქართული გლოვის ნიმუშების კავკასიურ და ბერძულ კულტურებთან შედარები-

თი ანალიზი საფუძველს გვაძლევს ბევრი საერთო ზნე-ჩვეულებისა და მუსიკალური ფორმების გამოვლენისათვის.

ქართული ხალხური სიმღერის სხვა ჟანრებთან (შრომის (მთიბლური, მკის, ღულუნი, ქორქალი, ურმული და სხვა), საკულტო-რიტუალურ და სუფრულ სიმღერებთან) შედარება კიდევ ერთხელ ამტკიცებს გლოვის პანგის სიძველესა და სხვა ჟანრებზე მის უცილობელ გავლენებს.

ზოგადად, გლოვის ნიმუშები ეროვნული მუსიკალური ენის ნაწილია და, შესაბამისად, ხმათა მოძრაობის საერთო კანონებს ემყარება. ამდენად, საგლოველი მუსიკა ქართული ხალხური მუსიკის ყველა ნიშანს ატარებს და მის უძველეს შრეებს ინახავს.

**ქეთევან ბაიაშვილი  
ეთნომუსიკოლოგი**

გთავაზობთ გურულ „ზარს“, ცნობილი გურული მგალობელ-მომღერლის – ნესტორ კონტრიძის ვარიანტს, რომელიც ასევე ცნობილი მგალობელ-მომღერლის – დიმიტრი პატარაგასაგან ჩაუწერია მის შეილს – მამია პატარაგას:

ଓৰূৰ

Zari

The musical score consists of four staves of music, each with a treble clef and a bass clef. The lyrics are written below the notes, divided by vertical dashed lines corresponding to the measure boundaries. The lyrics are:

3ৰ - ৰ 3ৰ - ৰ 3ৰ  
3ৰ 3ৰ - ৰ 3ৰ  
3ৰ - ৰ 3ৰ - ৰ 3ৰ - ৰ

(va)-(i) (va)-(i) (va)  
va vai va - i va  
va - i va - i va - i

3ৰ - ৰ 3ৰ  
3ৰ 3ৰ  
3ৰ - ৰ 3ৰ  
3ৰ 3ৰ  
3ৰ 3ৰ

va - i va vai va  
(va) vai

3ৰ - ৰ 3ৰ  
3ৰ - ৰ 3ৰ - ৰ 3ৰ  
3ৰ - ৰ 3ৰ - ৰ 3ৰ  
3ৰ - ৰ 3ৰ  
3ৰ - ৰ 3ৰ

(va) - (i) (va)  
va - i va - i va  
va - i va

3ৰ - ৰ 3ৰ - ৰ 3ৰ - ৰ  
3ৰ - ৰ 3ৰ  
3ৰ - ৰ 3ৰ - ৰ 3ৰ  
3ৰ - ৰ 3ৰ  
3ৰ - ৰ 3ৰ

va - i va - i va - i  
va - i va

Musical score for three voices (Soprano, Alto, Bass) in 8/8 time. The key signature changes from G major (one sharp) to F# major (three sharps) at the end of the first staff.

**Staff 1:**

- Soprano: Notes with lyrics: 35, 35, 35Q, 35-0, (va)(i), (va)-(i), (va).
- Alto: Notes with lyrics: 35, 35Q.
- Bass: Notes with lyrics: 35, 35Q.

**Staff 2:**

- Soprano: Notes with lyrics: 35, 35-0, 35-0, 35-0, 35Q.
- Alto: Notes with lyrics: 35, 35-0, 35-0, 35-0, 35Q.
- Bass: Notes with lyrics: 35, 35-0, i, va - i, va - i, vai.

**რედაქტორი:**  
მაკა ხარძიანი

**მთარგმნელი:**  
მაია კაჭკაჭიშვილი

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:**  
მაკა ხარძიანი  
ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის  
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2014

eISSN 1512 – 228X

ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10  
ტელ: 995/32/998 953 ფაქსი: 995/32/987 187

ელ-ფოსტა

[polyphony@conservatoire.edu.ge](mailto:polyphony@conservatoire.edu.ge)

[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)

---

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2015 წლის ივნისში